# ევროპარლამენტი უპირველესი კორუმპირებული სალაყბოა, რომელმაც არ იცის, რა ხდება საქართველოში!


# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ხუთშაბათი, 15 დეკემბერი. 2022 წ. №187 (9525) ელ.ფოსტა: sakres


**ევროპარლამენტმა რეზოლუცია მიიღო, რომელშიც საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ პერსონალური სანქციების დაწესებას მოითხოვს.**

**რეზოლუციას მხარი დაუჭირა 430-მა ევროპარლამენტარმა, ხოლო 126-მა — წინააღმდეგ მისცა ხმა.**

რეზოლუციაში ევროპარლამენტარები ასევე მოუწოდებენ საქართველოს ხელისუფლებას, რომ გაათავისუფლოს საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი.

რეზოლუციაში ბიძინა ივანიშვილი პირველად არის ნახსენები, როგორც ოლიგარქი. ივანიშვილისთვის ამ სტატუსის მინიჭება და მისთვის სანქციების დაწესება რეზოლუციის თავდაპირველ ტექსტში არ იყო. ოლიგარქად მას მოიხსენიებენ შესწორებაში, რომლის ავტორია ევროპის სახალხო პარტიის დეპუტატი მირიამ ლექსმანი.

## ② მირიამ ლექსმანის შემზარავი ულტიმატუმი



---

### კახა კალაძე:

## ევროპარლამენტარებო, თქვენთვის დაიტოვეთ არაფრის მომცემი სტატუსი!

### ირაკლი კობახიძე:

# სააკაშვილი მესამე პრეზიდენტი კი არ არის, ის არის პირველი მკვლელი და დიქტატორი



როგორც ირაკლი კობახიძემ აღნიშნა, მიხეილ სააკაშვილის რეჟიმს ასეულობით პატიმარი ჰყავს ციხეში მოკლული.

**„9 200 პატიმარია საქართველოში და ამდენი ხანი ერთ პატიმარზე გვალაპარაკებთ?, როდესაც ეს პატიმარი არის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე დამნაშავე, ვინც სასჯელს იხდის ციხეში, მის რეჟიმს რამდენიმე ასეული პატიმარი ჰყავს მოკლული. მის ავანტიურებს და ღალატს შეეწირა 2008 წლის აგვისტოში რამდენიმე ასეული ადამიანი, ათიათასობით ბიზნესმენი გააუბედურეს, ზოგს ქონება წაართვეს, ზოგი დააყაჩაღეს, ზოგს სახელმწიფოზე აფორმებდნენ, ზოგს საკუთარ ოჯახებზე და ბევრის სიცოცხლე შეეწირა ამას. ასეულობით და ათასობით ადამიანის სიცოცხლე არის ამ ადამიანის მიერ შექმნილი რეჟიმის კისერზე და ახლა გინდათ, რომ საზოგადოებას შეეცოდოს.?!**

მისივე თქმით, მძიმე კრიმინალზე, უმძიმეს დამნაშავეზეც კი, სახელმწიფო ზრუნავს სათანადოდ.

**„დღეს მიხეილ სააკაშვილი უნდა იყოს ციხეში და არის საავადმყოფოში, რატომ, მე არ ვიცი, ეს გადაწყვეტილება იქნა მიღებული. შესაბამისად, სახელმწიფო ასეთ უმძიმეს დამნაშავეზეც კი ზრუნავს სათანადოდ. ამის იქით ჩვენ ვერავითარ პასუხს ვერ გაგცემთ, რაც უკავშირდება სააკაშვილს. ის არის პატიმარი, რომელიც არის საავადმყოფოში ყველანაირი მომსახურებით, დანარჩენი არის უწყებების საქმე.**

**როდესაც იყო სააკაშვილის რეჟიმი საქართველოში, წლების განმავლობაში 140-ს აღემატებოდა საპატიმროებში გარდაცვალების მაჩვენებლები. როგორც კი ხელისუფლება შეიცვალა, საშუალო მაჩვენებელი 20-ზე ნაკლებია. ეს ნიშნავს პირდაპირ სტატისტიკურად დადასტურებას, რომ 100 კაცზე მეტს მისი რეჟიმი კლავდა ციხეში წამებით.**

**რა მესამე პრეზიდენტი, იყო პირველი დიქტატორი და მკვლელი. მესამე პრეზიდენტი კი არ არის მიხეილ სააკაშვილი, ის არის პირველი მკვლელი და დიქტატორი. 100 კაცს მარტო წელიწადში კლავდა ციხეებში. 500 კაცი შესწირა აგვისტოს ომს თავის ავანტიურითა და ღალატით. მერე ხელი მოაწერა რეზოლუციას, სადაც ჩაწერა, რომ ქართულმა არმიამ დაიწყო ომი, ამას უწოდებთ მესამე პრეზიდენტს? მესამე პრეზიდენტი კი არა, პირველი ავანტიურისტი და მკვლელია ქვეყანაში. ამიტომ არის ღირსი, რომ ექვსწლიანი სასჯელი მოიხადოს, რაც შეფარდებული აქვს მართლმსაჯულების მიერ. აცადეთ სასჯელის მოხდა“,** — განაცხადა კობახიძემ.

### დავით მირცხულავა:

## ოპერაციის შემდეგ დრენაჟებით წაიყვანეს ⑥ საპატიმროში...



როცა პროფესორი გოგა ფიფია ეუბნებოდა, არ შეიძლება ამის ტრანსპორტირებაო, უთხრეს - მაშინ, თქვენც წაგიყვანთ მასთან ერთადო!

# დღეს სჯული კონსტიტუციურობაა!



### დავით ზარდიაშვილი: ④

## ეს ჩვენი ომი არ არის! მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ და უკრაინას მტერი საერთო გვყავს...



# გუშინ თბილისის საქალაქო სასამართლოსთან, აქციაზე, დაპირისპირება იყო...

**საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერები საქალაქო სასამართლოს ეზოში აქციას მართავდნენ. მათ შენობიდან გამოსულ პენიტენციური სამსახურის წარმომადგენელს პროცესის გადადების შუამდგომლობის განმარტება მოსთხოვეს.**

აქციის მონაწილეები მას „პრეზიდენტის მკვლელს" ეძახდნენ. პენიტენციური სამსახურის წარმომადგენელმა ტერიტორია საპატრულო პოლიციისა და მანდატურის სამსახურის დახმარებით დატოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოში საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილისთვის სასჯელის გადავადების საკითხზე სასამართლო პროცესი მეორედ გაიმართა. მოსამართლემ სხდომაზე წაიკითხა სპეციალური პენიტენციური სამსახურის წერილი, რომლის მიხედვითაც, სპეციალური პენიტენციური სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას, უზრუნველყოს მსჯავრდებულ სააკაშვილის დისტანციურად ჩართვა. შემდეგი პროცესი 22 დეკემბერს გაიმართება.

# სააკაშვილთან დაკავშირებული ყველა დაცული ვიდეომასალა დაცვის მხარეს გადაეცემა!



**მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის სასამართლო პროცესზე, მოსამართლემ პენიტენციურ სამსახურს დაავალა, სააკაშვილთან დაკავშირებული ყველა დაცული ვიდეომასალა, დაცვის მხარეს გადასცეს.**

მოსამართლის თქმით, მოისმინა მიხეილ სააკაშვილის ინტერესების დამცველის შალვა ხაჭაპურიძის განცხადება და საჭიროდ მიიჩნია შუამდგომლობის დაკმაყოფილება.

**„მოვისმინეთ ადვოკატ შალვა ხაჭაპურიძის შუამდგომლობა, ამ შემთხვევაში პენიტენციური სამსახურის წარმომადგენლის პოზიციაც, მიმაჩნია რომ შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს და იუსტიციის სამინისტროს შესაბამის სამსახურს დაევალოს, რომ მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით ვიდეომასალა 2021 წლის 1 ოქტომბრიდან 2022 წლის 14 დეკემბრის ჩათვლით, რაც მათ აქვთ, გადასცენ დაცვის მხარეს",** — განაცხადა მოსამართლემ სასამართლო პროცესზე.

# ნიკა მელია: გამოუტანენ თუ არა სასიკვდილო განაჩენს სააკაშვილს?!

**ყველამ უნდა გავიაზროთ, რომ სააკაშვილის სასამართლო პროცესები გასცდა ერთი ადამიანის პრობლემის ფარგლებს. ეს ყველას პრობლემაა...**

ნიკა მელიას თქმით, ახლა ყველას ამოცანა არის სააკაშვილის სიცოცხლის გადარჩენა.

**„სახელმწიფოს ინტერესებს აზიანებს ადამიანის ტყვეობაში ყოფნა ერთი წლის განმავლობაში. სახელმწიფოს ინტერესებს აზიანებს ადამიანისთვის, თუნდაც ტყვეობაში მყოფი ადამიანისთვის კონსტიტუციურად მინიჭებული უფლებების ჩამორთმევა. ამ ერთი წლის განმავლობაში სატელეფონო ზარის უფლებაც არ ჰქონდა. სასამართლო პროცესზეც კი არ მოჰყავთ, არ რთავენ დისტანციურად, მეტი რა არის, რაც შეუძლიათ, გაუკეთონ ტყვეობაში მყოფ ადამიანს და პარალელურად, გქონდეს ეს მასკარადი სასამართლო პროცესის სახით. ნაკლებად გითქვამთ თქვენც, თქვენს მაყურებლებსაც რომელი ხელისუფლების პირობებში მოკლეს ზვიად გამსახურდია. სახელმწიფომ, ახალმა თაობებმა, მომავალმა თაობებმა უნდა გავაცნობიეროთ, რომ ქვეყნის პირველი პრეზიდენტი მოკლეს და ამან სახელმწიფო მრავალი წლით დაწია განვითარების გზიდან. ამიტომ ახლა ჩვენი მნიშვნელოვანი ამოცანა არის ქვეყნის მესამე პრეზიდენტის სიცოცხლის გადარჩენა. ყველას ამოცანაა, იქნება ეს „ნაციონალური მოძრაობის" ამომრჩეველი, თუ სხვა ოპოზიციური პარტიის ან თუნდაც „ოცნების", თუ დარჩა გააზრებული ამომრჩეველი, რომლისთვისაც სახელმწიფოებრიობა მნიშვნელოვანია. ჩვენ, ყველამ უნდა გავიაზროთ, რომ სააკაშვილის სასამართლო პროცესები გასცდა ერთი ადამიანის, კერძოდ, მიხეილ სააკაშვილის, როგორც ქვეყნის პრეზიდენტის, პრობლემის ფარგლებს. ეს ყველას პრობლემაა",** — განაცხადა ნიკა მელიამ.

ნიკა მელია მიიჩნევს, რომ ოპოზიციიდან დეპუტატებმა უნდა მიიღონ გადაწყვეტილება პარლამენტში გაჩერება-არგაჩერების საკითხზე იმის მიხედვით, გამოუტანენ თუ არა სასიკვდილო განაჩენს სააკაშვილს.

# შალვა პაპუაშვილი: ევროპარლამენტში გუშინ ყველას მოუწია აღიარება, რომ სააკაშვილის სასჯელი არის კანონიერი!

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის შალვა პაპუაშვილის განცხადებით, ევროპარლამენტში გუშინდელი დებატებისას მიხეილ სააკაშვილის მიმართ გამოტანილი განაჩენის კანონიერება კითხვის ნიშნის ქვეშ არავის დაუყენებია.**

პაპუაშვილის თქმით, ევროპარლამენტში წერტილი დაესვა საკითხს, მიხეილ სააკაშვილი კანონიერად იხდის თუ არა სასჯელს და ყველას მოუწია აღიარება, რომ სააკაშვილის სასჯელი კანონიერია.

**„რაც შეეხება გუშინდელ დებატებს, მგონი, ყველას მოგვხვდა თვალში, რომ მთელი დებატების განმავლობაში, არავინ, არც ერთხელ კითხვის ნიშნის ქვეშ არ დააყენა, რომ მიხეილ სააკაშვილის მიმართ გამოტანილი განაჩენი კანონიერია, საერთოდ არავინ. ვფიქრობ, ეს არის მთავარი მიღწევა იმ დისკუსიისა, რომელიც მიმდინარეობს ამ საკითხთან დაკავშირებით. ჩვენ ვნახეთ შედეგი — გუშინ საერთოდ არავის უხსენებია სიტყვა პოლიტპატიმარი, უკანონო განაჩენი, გათავისუფლება იმის გამო, რომ არის უკანონოდ დაჭერილი. ამით წერტილი დაესვა, მათ შორის ევროპულ პარლამენტში საკითხს, მიხეილ სააკაშვილი საკუთარ სასჯელს კანონიერად იხდის, თუ — არა. წერტილი, ეს არის კანონიერი განაჩენი, მიხეილ სააკაშვილმა ჩაიდინა დანაშაული, ეს აღიარებულია, გუშინ არავის დაუყენებია კითხვის ნიშნის ქვეშ. ყველა ვთანხმდებით და ჩვენი თვალით ვნახეთ, ჩვენი ყურით მოვისმინეთ, აღარავინ ახსენებს, თითქოს მიხეილ სააკაშვილი არის უკანონოდ დაკავებული, პოლიტპატიმარი და ა.შ. ეს თემა დახურულია, მიხეილ სააკაშვილი იხდის კანონიერ სასჯელს".**

# მირიამ ლექსმანის შემზარავი ულტიმატუმი

**„გვარამია უნდა გათავისუფლდეს, სააკაშვილმა უნდა გაიაროს მკურნალობა საზღვარგარეთ",** — ამის შესახებ ევროპარლამენტარმა მირიამ ლექსმანიმ განაცხადა.

**„უნდა ვაღიაროთ, რომ იყო პროგრესი ზოგიერთ რეფორმაში, მაგრამ არ შეიძლება უგულებელყოთ დემოკრატიული პროცესისა და კანონის უზენაესობის საერთო მდგომარეობა. პოლიტიკური ლიდერები ყოფენ არა მხოლოდ პოლიტიკურ სივრცეს, არამედ საზოგადოებასაც. მმართველი პარტია კვლავ უგულებელყოფს 2021 წლის 19 აპრილის შეთანხმებას. ერთი ოლიგარქი კვლავ ფლობს ჭარბ გავლენას პოლიტიკურ გარემოზე, ჩვენ ვნახეთ თავდასხმები ჟურნალისტებზე. სასამართლოს არასწორად იყენებენ პოლიტიკური წნეხისთვის და დემოკრატიული პოლიტიკური პროცესები კვლავ უარესდება. ამის საპირისპიროდ, ჩვენ ველით, რომ ნიკა გვარამიას მიმართ პოლიტიკური სასჯელი უნდა მოიხსნას და ის უნდა გათავისუფლდეს.**

**ასევე, საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა უნდა გაიაროს სამედიცინო მკურნალობა საზღვარგარეთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად"!**

# გლუქსმანი, კუბილიუსი, რასა იუკნევიჩიენე ან ფონ კრამონი არ არიან ევროპის სახე, უბედურებაა, რომ ქართველი მაყურებელი მათ განცხადებებს ისმენს ევროპიდან



**გლუქსმანი, კუბილიუსი, რასა ან ფონ კრამონი შეიძლება, იყვნენ ევროპის სახე? ესენი ხომ არ არიან ევროპის სახე, ეს ხომ აბსოლუტურად ულირსი განცხადებებია,** — ამის შესახებ „ქართული ოცნების" თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ განაცხადა.

**„ერთ მხარეს არის სამი მილიარდი დოლარის დამხარჯველი ქველმოქმედი ადამიანი, რომელიც უნდა დაისაჯოს და აქეთ არის კაცი, რომელმაც სამი მილიარდი მოიპარა, ასეულობით ადამიანი ყოველწლიურად მოკლა და ის უნდა გათავისუფლდეს. უბედურებაა, რომ ქართველი მაყურებელი ამას ისმენს ევროპიდან",** — განაცხადა კობახიძემ.

# კახა კალაძე: ევროპარლამენტარებო, თქვენთვის დაიტოვეთ არაფრის მომცემი სტატუსი!



**სააკაშვილის კონკრეტულ სისხლის სამართლებრივ დანაშაულს თუ ვაყენებთ კითხვის ქვეშ სტატუსის მიღება-არმიღებასთან დაკავშირებით, მაშინ თავისთვის დაიტოვონ არაფრის მომცემი სტატუსიც**, — ამის შესახებ დედაქალაქის მერმა, კახა კალაძემ განაცხადა.

**„საოცარ განცხადებებს ვისმენთ ბოლო დღეების განმავლობაში. თუ არ ვცდები, სააკაშვილის ერთ-ერთმა ადვოკატმა თქვა, რომ სააკაშვილის გათავისუფლება თუ არ მოხდება, საქართველო ვერ მიიღებს სტატუსს, ევროკავშირში გაწევრიანება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება. საოცარი განცხადებები ისმის. მაშინ საერთოდ რა საჭირო იყო 12-პუნქტიანი გეგმის წარმოდგენა და ზოგადად, რა საჭიროა შესრულება.**

**ამ კონკრეტულ სისხლის სამართლებრივ დანაშაულს თუ ვაყენებთ კითხვის ნიშნის ქვეშ სტატუსის მიღება-არ მიღებასთან დაკავშირებით, თუ ეს დამოკიდებულებაა, მაშინ თავისთვის დაიტოვონ არაფრის მომცემი სტატუსიც და ჩვენ ყოველთვის ჩვენს გასაკეთებელს გავაკეთებთ",** — განაცხადა კახა კალაძემ.

ამასთან, როგორც კახა კალაძე ამბობს, შედარებაც კი არ შეიძლება, რა ხდებოდა ქვეყანაში 2012 წლამდე და როგორია დღევანდელი ვითარება მათ შორის, გამოხატვის, სიტყვის თავისუფლების თვალსაზრისით.

**„ისეთ განცხადებებს ვისმენთ, რეალობასთან ახლოსაც არ არის. ჩვენ ამ ქვეყანაში ვცხოვრობთ და გვახსოვს წლები, რა ხდებოდა გამოხატვის, სიტყვის თავისუფლების თვალსაზრისით. რა ხდებოდა მედიების მიმართ, რა დამოკიდებულებები იყო, ტელევიზიებში შევარდნა, დახურვა, დევნა, თვალყური. თუკი რაიმე საშინელება შეიძლება, გაიფიქროს ადამიანმა, ყველაფერს აკეთებდნენ.**

**როგორ შეიძლება შედარებაც კი, რა ხდებოდა ქვეყანაში 2012 წლამდე, თუნდაც მედიის მიმართულებით და რა მდგომარეობა გვაქვს დღეს. ყველანი მოაზროვნე ადამიანები ვართ და გვაქვს შესაძლებლობა, შეფასებები გავაკეთოთ. როგორ შეიძლება, საერთოდ ტოლობის ნიშანი დაისვას 2012 წლამდე არსებულ მდგომარეობასა და დღევანდელ ვითარებაზე",** — აღნიშნა კალაძემ.

# მიხეილ სააკაშვილი შიმშილობას იწყებს

**საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი შიმშილობას იწყებს,** — ამის შესახებ მიხეილ სააკაშვილის ადვოკატმა, შალვა ხაჭაპურიძემ განაცხადა. შალვა ხაჭაპურიძემ კლინიკა „ვივამედში" მიხეილ სააკაშვილი გუშინ მოინახულა. ადვოკატმა ყოფილი პრეზიდენტის წერილი წაიკითხა.

**„დღეს უარი მეთქვა ყველაზე ელემენტარულ უფლებაზე, დავესწრო სასამართლო პროცესს. ეს არის ყველა ქართული და საერთაშორისო ნორმის დარღვევა, ამიტომ იძულებული ვარ, მივმართო პროტესტის უკიდურეს ფორმას, შიმშილობას. ვაცნობიერებ ყველა რისკს ჩემი ამჟამინდელი ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, მაგრამ ვიშიმშილებ, ვიდრე საკუთარ პროცესზე ვიდეოლინკით მაინც ჩართვის მყარ გარანტიებს არ მივიღებ. ყოველგვარ დაცინვასა და დამცირებასაც საზღვარი აქვს",** — აღნიშნულია სააკაშვილის წერილში.

# „შიმშილობით ვის აშინებს?"

„ტაბულას" დამფუძნებელი, **თამარ ჩერგოლეიშვილი** საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიერ შიმშილობის დაწყებას ეხმაურება.

**„თუ კლავს, შიმშილობა რაღა შუაშია, უფალო, მიშველე. თუ უკვე კლავს, შიმშილობით ვის აშინებს? რაღაც ლოგიკა დამაჭერინე. არ იშიმშილოს, დაარწმუნეთ",** — წერს ჩერგოლეიშვილი.



## კელი დეგნანი: საქართველო-ამერიკის მეგობრობას 30 წელი ვაშენებდით...

**აშშ გასული 30 წლის და კიდევ უფრო მეტი ხნის განმავლობაში იყო საქართველოს ყველაზე მტკიცე მხარდამჭერი, დღეს ეროვნული არქივის მიერ მოწყობილი გამოფენა ასახავს ჩვენი პარტნიორობის გასულ 30 წელს,** – ამის შესახებ საქართველოში აშშ-ის ელჩმა, კელი დეგნანმა გამოფენის, „საქართველო და შეერთებული შტატები. დიპლომატიური ურთიერთობების ისტორია" გახსნაზე განაცხადა. დეგნანის განცხადებით, აშშ ყოველთვის მხარს უჭერდა საქართველოს, შეენარჩუნებინა სიმტკიცე და ქვეყანაში დაემკვიდრებინა სტაბილური დემოკრატია.

**„30 წლის წინ, საბჭოთა რეპრესიებისგან საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის ხელახლა მოპოვების შემდეგ და მანამდე, რუსეთის ძალისხმევის მიუხედავად, გაექრო საქართველოს სუვერენიტეტი და იდენტობა, ქართველმა ხალხმა შეინარჩუნა სიმტკიცე გადაწყვეტილებაში, დაემკვიდრებინა კეთილდღეობა და სტაბილური დემოკრატია. აშშ გასული 30 წლის და კიდევ უფრო მეტი ხნის განმავლობაში იყო საქართველოს ყველაზე მტკიცე მხარდამჭერი ამ ძალისხმევაში. ჩვენ ძალიან ამაყები ვართ, რომ პარტნიორები ვიყავით და დღეს ეროვნული არქივის მიერ მოწყობილი ეს გამოფენა ასახავს ჩვენი პარტნიორობის გასულ 30 წელს ამ ძალისხმევაში. აქ არის ჩვენი სამხედროების ფოტოები, რომლებიც ერთობლივად გადიან წვრთნებს, ჩვენი ლიდერების ფოტოები, რომლებიც ერთობლივად მუშაობენ საქართველოს დემოკრატიული მომავლისა და ეკონომიკური კეთილდღეობისთვის. აქ არის ქართველი და ამერიკელი ხალხის ფოტოები. ამ მეგობრობას 30 წელი ვაშენებდით. ჩვენ ვიხსენებთ განვლილს და ასევე ვიყურებით წინ იმისკენ, რასაც ერთობლივად გავაკეთებთ",** – განაცხადა დეგნანმა. ექსპოზიცია საქართველოსა და აშშ-ის შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 30 წლის იუბილეს ეძღვნება და ასახავს ორი ქვეყნის ურთიერთობას საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდიდან დღემდე.

---

# უცხოური ინვესტიციების რაოდენობა რეკორდისკენ მიიწევს!

**უცხოური ინვესტიციების რაოდენობა იმდენად მკვეთრად გაიზარდა, რომ დიდი ალბათობით, წელს 2 მილიარდ ლარს გადააჭარბებს. არ არის გამორიცხული, ისტორიული რეკორდიც კი დამყარდეს. ყოველ შემთხვევაში, წლის პირველი სამი კვარტლის შედეგები ამის თქმის საფუძველს ნამდვილად იძლევა.**

„საქსტატმა" პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესახებ ახალი სტატისტიკა გამოაქვეყნა. დოკუმენტის თანახმად, მიმდინარე წლის მესამე კვარტალში საქართველოში 745 მილიონი დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შემოვიდა. ეს წინა წელთან შედარებით 99%-ით მეტია. რაც შეეხება მთლიანად 9 თვის შედეგებს, უცხოური კაპიტალის მოცულობა 1.67 მილიარდი დოლარი იყო, რაც წინა წელთან შედარებით 101%-ით მეტია.

მესამე კვარტალში 745 მილიონი დოლარიდან 446 მილიონი რეინვესტიციებზე მოდიოდა, სააქციო კაპიტალში ინვესტიციები 226 მილიონი დოლარი იყო, ხოლო სავალო ვალდებულებები 72.4 მილიონი დოლარი იყო.

მესამე კვარტალში ინვესტიციების მხრივ პირველ ადგილზეა ესპანეთი – 165.9 მლნ აშშ დოლარით, რაც მთლიანი რაოდენობის 22.3 პროცენტს შეადგენს, მეორე ადგილზეა გაერთიანებული სამეფო – 122.9 მლნ აშშ დოლარით (16.5 პროცენტი), ხოლო მესამეზე ირლანდია – 120.3 მლნ აშშ დოლარით (16.1 პროცენტი). 10 უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების წილი ინვესტიციების მთლიანი მოცულობის 86.5 პროცენტს შეადგენს.

ინვესტიციების სტატისტიკის შესახებ „საქსტატის" აღმასრულებელმა დირექტორმა, **გოგიტა თოდრაძემ** ისაუბრა. მისი ინფორმაციით, ესპანეთიდან ინვესტიციები, ძირითადად, უძრავი ქონების სფეროში განხორციელდა.

იხ. 11 გვ.






## კახა კალაძე: ყველამ ერთად ვინატროთ მშვიდობა!

**დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, გუშინ თბილისის მთავრობის სხდომაზე დედაქალაქის მერმა, კახა კალაძემ რამდენიმე განცხადება გააკეთა და აღნიშნა, რომ „საახალწლო სოფელი" 23 დეკემბერს, ორბელიანის მოედანზე გაიხსნება.**

მისი თქმით, ორბელიანის მოედანზე 13 იანვრის ჩათვლით, საბავშვო-გასართობი წარმოდგენები, კონცერტები, ზღაპრის გმირების სადღესასწაულო მსვლელობები, სხვადასხვა აქტივობა და მუსიკალური საღამოები გაიმართება. საახალწლო გალაკონცერტი ევროპის მოედანზე, 31 დეკემბერს გაიმართება.

**„31 დეკემბერს გელოდებით ევროპის მოედანზე, გალაკონცერტზე. ერთად შევხვდეთ 2023 წელს, ბედნიერი და უკეთესი მომავლის მოლოდინით. ყველაზე მთავარი მაინც ჩვენი განწყობა და სურვილებია, რადგან სასწაული სხვა არაფერია, თუ არა ის, რომ ყველამ ერთად ვინატროთ მშვიდობა მთელ მსოფლიოში, კეთილდღეობა ყველა ოჯახში, ჩვენი საყვარელი ადამიანების ჯანმრთელობა, განათლებული და წარმატებული მომავალი თაობა, ქვეყნის წინსვლა და განვითარება. ერთად აღვნიშნოთ საახალწლო დღეები ჩვენს ულამაზეს დედაქალაქში",** – აღნიშნა კახა კალაძემ.

თბილისის მერმა მთავრობის სხდომაზე მელიქიშვილის გამზირზე სატრანსპორტო დერეფნის ამოქმედებაზეც ისაუბრა, სადაც 29 მარშრუტზე, მგზავრებს 128 ავტობუსი და მიკროავტობუსი ემსახურება.

მისი თქმით, აღნიშნული დერეფნის ამოქმედება მნიშვნელოვანია ამ კვანძზე მოძრავი საზოგადოებრივი ტრანსპორტის სწრაფად და შეუფერხებლად გადასაადგილებლად.

დედაქალაქის მერმა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელს, ასევე, ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსს არსებული კონკრეტული პრობლემური კვანძების მოკლე დროში მოწესრიგება დაავალა.

**„ყოველთვის ვამბობთ, რომ ამ მიმართულებით გვაქვს გამოწვევები, მაგრამ ჩვენი ქმედებები მიმართულია იმისკენ, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტი ყველასთვის კომფორტული და ხელმისაწვდომი იყოს. ვიცით, რა არის გასაკეთებელი და ვდგამთ ნაბიჯებს თანმიმდევრულად. აქვე, მინდა დავავალო ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ტრანსპორტის სამსახურის ხელმძღვანელებს, რომ პრობლემური კვანძები, რაც შეიძლება სწრაფად მოვაწესრიგოთ"...**

თბილისის მერმა კერძო ავტომობილების ზრდასთან დაკავშირებით, სტატისტიკური მონაცემები წარადგინა.

**„2017 წელს ქვეყანაში ავტომობილების მფლობელთა რიცხვი შეადგენდა, დაახლოებით, 31%-ს, დღეს კი ეს ციფრი 48%-ს აღწევს. საშუალო წლიური ზრდა გვაქვს, დაახლოებით, 95. ეს ნიშნავს, რომ ხუთ-შვიდ წელიწადში, მივაღწევთ ავტომობილის ფლობის საშუალო ევროპულ მაჩვენებელს – 70%-ს, თუმცა, აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ევროკავშირის ქვეყნებში, კვირაში ხუთი ან მეტი დღით, ავტომობილს გამოიყენებს მოსახლეობის 8%, მაშინ, როდესაც საქართველოში ეს მონაცემი 925-ს უტოლდება. თბილისში, 2012 წელს, სამუშაო დღეებში 250 000-მდე ავტომობილი გადაადგილდება, 2017 წელს კი, 380 000 ავტომობილი მოძრაობდა იგივე დღეებში. ვაწარმოებთ სტატისტიკას და ბოლო დღეების განმავლობაში, პიკის საათებში 600 000-ზე მეტი ავტომობილი გადაადგილდება. შესაბამისად, საზოგადოებრივი ტრანსპორტი უნდა გახდეს მეტად კომფორტული და სწრაფი. წინააღმდეგ შემთხვევაში, მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში, გადაადგილება შეუძლებელი გახდება"...**

გარდა ამისა, აღინიშნა, რომ თბილისის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა პუშკინის სკვერის რეაბილიტაცია დაასრულა. სამუშაოების ფარგლებში, განახლდა საფეხმავლო ბილიკები, განთავსდა ახალი საპარკო ინვენტარი, რეაბილიტაცია ჩაუტარდა გარე განათებას და დამონტაჟდა ვიდეომეთვალყურეობის სისტემა.

დედაქალაქის მერის თქმით, 16-18 დეკემბერს, საგამოფენო ცენტრ „ექსპო ჯორჯიას" მე-4 და მე-5 პავილიონებში, თბილისის მერიის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანებისა და საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ორგანიზებით, წიგნის საახალწლო ფესტივალი გაიმართება. ფესტივალი აერთიანებს ასოციაციის მიერ დაფუძნებულ წიგნის საახალწლო ფესტივალს და 2021 წელს, იუნესკოს პროექტ „თბილისი – წიგნის მსოფლიო დედაქალაქის" ფარგლებში დაარსებულ საბავშვო წიგნის ფესტივალს.

**„ფესტივალზე წარმოდგენილი იქნება წიგნები და საინტერესო ღონისძიებები, როგორც ბავშვებისთვის, ასევე, უფროსებისთვის. ფესტივალში მონაწილეობას მიიღებს საქართველოში მოქმედი თითქმის ყველა გამომცემელი და წიგნის გამავრცელებელი ორგანიზაცია, რომლებიც ფესტივალის სტუმრებს ფასდაკლებებს შესთავაზებენ. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურის ხელმისაწვდომობას. ასე რომ, 16 დეკემბრიდან გელით თბილისის წიგნის საახალწლო ფესტივალზე",** – განაცხადა თბილისის მერმა.

დედაქალაქის მერმა საზოგადოებას უწყების კიდევ ერთი თანამშრომელი, ვაჟა შვილდაძე წარუდგინა, რომელიც თბილისის მუნიციპალურ ინსპექციაში მუშაობს.

**„ტრადიციულად, თბილისის მერიის კიდევ ერთ დამსახურებულ თანამშრომელს, ვაჟა შვილდაძეს გაგაცნობთ, რომელიც მუნიციპალური ინსპექციის არქივარიუსია, საარქივო მასალას აღრიცხავს, ახარისხებს და დადგენილი წესით ინახავს. იგი აღნიშნულ პოზიციას 2005 წლიდან იკავებს, მანამდე კი მერიის ადმინისტრაციულ ინსპექციაში განყოფილების უფროსის პოზიციაზე მუშაობდა. თბილისის მერიაში მისი სამუშაო სტაჟი 30 წელზე მეტს ითვლის. მუდამ ზრუნავს, რომ ინსპექციის არქივი, რომელიც 100 ათასამდე დოკუმენტს ინახავს, იყოს მოწესრიგებული და სამუშაო პროცესში იოლად ხელმისაწვდომი. ეს ადამიანი თანამშრომლებისთვის კეთილსინდისიერებასთან, შრომისმოყვარეობასთან და კეთილშობილებასთან ასოცირდება. მინდა, ბატონ ვაჟას მადლობა გადავუხადო გაწეული საქმიანობისთვის და მომდევნო წლებში, წარმატებები ვუსურვო იმ პოზიციაზე, სადაც დღეს ძალიან მნიშვნელოვან საქმეს აკეთებს"...**



## დავით ზარდიაშვილი:

# ეს ჩვენი ომი არ არის! მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ და უკრაინას მტერი საერთო გვყავს...

ეს საკითხი, ისევე როგორც ზოგადად – საქართველოს ღირსეული ადგილი და როლი ამ საერთაშორისო ომიანობაში, სინდისიერად და კეთილგონივრულად მხოლოდ და მხოლოდ სჯულისმიერად, სჯულზე დაყრდნობით შეიძლება განვსაჯოთ და გადავწყვიტოთ. არავითარ შემთხვევაში – სხვაგვარად. აქ რაიმე იდეოლოგიური სპეკულაციების ადგილი არ არის. ეს სრულიად დაუშვებელი და დამღუპველია. ერთადერთი მართალი გზა მართლზომიერი განსჯისა და გადაწყვეტისა – ოდენ სჯულია. შეგახსენებთ, „სჯული" ქართული სიტყვაა და ოდითგანვე სამართალს+სამართლიანობას, სამართლის იდეას ერქვა. ხოლო „სჯულიერებად", ე.ი. „სჯულზე დგომად" სწორედაც სამართალსა და სამართლიანობაზე დაყრდნობილი ცხოვრების მართალი წესი იწოდებოდა. განსჯისა და გადაწყვეტისთვის, სამართლიანობას უნდა მოუხმოთ და ჭკუა, უწინარეს ყოვლისა, სამართალს უნდა დავეკითხოთ.



# დღეს სჯული - კონსტიტუციურობაა!

საერთაშორისო სამართლის მიხედვით ვითარება თითქოსდა სავსებით ნათელია: **რუსეთმა ფეხქვეშ გათელა რა საერთაშორისო ურთიერთობათა მთავარი, ფუძემდებლური პრინციპი: საერთაშორისოდ აღიარებული სახელმწიფოს სუვერენიტეტის და მისი ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუვალობა, აგრესიული ომი წამოიწყო უკრაინის წინააღმდეგ, სამართალი და სამართლიანობა იმპერატიულად მოითხოვს, რომ აგრესია დაუყოვნებლივ შეწყდეს და აგრესორმა პასუხი უნდა აგოს, ეს უდავოა.**

მაგრამ, მეორე მხრივ: ნუ დაგვავიწყდება, რომ საერთაშორისო სამართალი კონვენციურია, საერთაშორისო შეთანხმებების საფუძვლებზე დგას და ასეთ შეთანხმებათა დაცვა საკუთარი ნებით შეუძლიათ მხოლოდ იმათ, ვინაც სამართალს+სამართლიანობას, სამართლის იდეას, ანუ ქართულად – „სჯულს", მისდევენ და არა უსჯულოთა. ხოლო ამ საერთაშორისო კონვენციური სამართლის დევალვაცია, მისი გაუფასურება და ფაქტობრივად არარად ქცევა, რამაც მშვიდობასა თუ წესრიგსაც ბოლო მოუღო და დღევანდელი ომიანობა მოიტანა, სწორედაც, „მრავალმხრივი და მრავალგანზომილებიანი უსჯულოების" შედეგია. და აქ, შესაძლოა, **რუსეთზე არანაკლებ სცოდავენ სხვებიც, ხოლო ამ მრავალმხრივი უსჯულოების მსხვერპლი კი, გასაწირად გამეტებული უბედური უკრაინელი ხალხია.** რუსეთის აგრესიის გამართლება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, თუმცა მხედველობაში ესეც უნდა მივიღოთ: უკრაინის კრიზისი 24 თებერვალს არ დაწყებულა, მას წინ უძღოდა 2014 წლის „მეიდანის" ამბები, რამაც უკრაინა დაუნდობელ სამოქალაქო ომამდე მიიყვანა და რუსეთსაც მისცა ხელჩასაჭიდი საბაბი, უკრაინის საშინაო საქმეებში უხეშად ჩარეულიყო. მეტიც, მიეტაცებინა (რასაც თავად „დაბრუნებას" უწოდებს) ყირიმი, ხოლო დონბასში, სისხლისმღვრელი სამხედრო კონფლიქტი გაეღვივებინა. ამ უთუოდ ანგარიშგასაწევ საბაბს რუსეთისთვის წარმოადგენდა „მაიდნის", ფაქტობრივად უკანონო სახელმწიფო გადატრიალების თუ ინსპირაცია არა, ღია მხარდაჭერა დასავლეთის მიერ, რაც უკრაინის სუვერენიტეტის ასევე თვალსაჩინო დარღვევაა. ამაზე თვალის დახუჭვა თავის მოტყუება იქნება. ასევე, რაც საერთაშორისო, ე.ი. კონვენციური სამართლისათვის პრინციპულად მნიშვნელოვანია – ომის და უკრაინის დესუვერენიზაციის შესაკავებლად, 2015 წელს დასავლეთის, კონკრეტულად, გერმანიისა და საფრანგეთის, დიდი ძალისხმევით მოხერხდა „მინსკის შეთანხმებების" მიღწევა, რისი შესრულებაც საერთაშორისო სამართლის ხედვით უკრაინაში მშვიდობის და სამართლიანობის უზრუნველყოფის ძირეული პირობა გახლდათ. უკრაინისა და მთელი მსოფლიოსთვისაც ნამდვილი უბედურებაა, ხოლო კონვენციური საერთაშორისო სამართლისათვის ნამდვილი კატასტროფა, ის, რაც ახლახან ამ შეთანხმებების ერთ-ერთმა მთავარმა ინიციატორმა და მონაწილემ, გერმანიის ყოფილმა კანცლერმა ქ-ნმა **ანგელა მერკელმა** აღიარა: **თურმე მინსკის შეთანხმებები მთლიანად თვალთმაქცური ყოფილა – დასავლეთის მიერ წაქეზებული უკრაინა არც კი აპირებდა ამ ხელშეკრულების პირობათა დაცვა-შესრულებას, არამედ მიზანი არა მშვიდობა და სამართლიანობა, არამედ თურმე მხოლოდ დროის მოგება გახლდათ, რათა უკრაინა დასავლეთის მიერ უკეთ შეიარაღებულიყო, საუკეთესოდ მომზადებულიყო ომისთვის და რუსეთთან კონფლიქტი არა კონვენციურ სამართალზე, არამედ სწორედაც სამხედრო ძალაზე დაყრდნობით გადაეწყვიტა;** როცა საერთაშორისო ხელშეკრულებების და მაშასადამე, სამართლის მიმართაც ასეთი უსჯულო დამოკიდებულება ჰქონია კონფლიქტის ერთ მხარეს, არც მეორე მხარის უსჯულოება და თუნდაც უარესად ბარბაროსული, აგრესიული რეაქცია აღარ უნდა გაგვიკვირდეს. დასკვნა, რაც აქედან უნდა გამოვიტანოთ, ასეთია: ამ ომიანობას წინ უძღოდა საერთაშორისო კონვენციური სამართლის და შესაბამისად, **ამ სამართალზე დამყარებული წესრიგის არსებითი ნგრევა, რაც ცალმხრივი პროცესი სულაც არ ყოფილა: დაპირისპირებული მხარეები უსჯულოებაში თითქოს ერთი-მეორეს ეჯიბრებოდნენ! ყველას, ვინც ამ კონფლიქტის გაღვივებაში მონაწილეობდა, ე.ი. რუსეთის, უკრაინის და დასავლური სახელმწიფოების ხელისუფალთ, თავისი წილი პასუხისმგებლობა უდავოდ ეკისრებათ, ვის როგორ და რა ზომით, ამისი განსჯა საქართველოს საქმე არ არის და თანაც, ახლა არც ამისი დროა.** ადამიანურობა მოითხოვს და დღეს მთავარია, ეს დაუნდობელი ძალადობა უკრაინელი ხალხის მიმართ როგორმე შეწყდეს, მშვიდობიანობა აღდგეს. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, საქართველოს პოზიცია განწირული უკრაინელი ხალხის მიმართ ცალსახაა: ჩვენ, ქართველებს, უეჭველად მიგვაჩნია, რომ უკრაინელი ხალხის უფლებები, მისი სუვერენობა, სასიცოცხლო ეროვნული ინტერესები, ტერიტორიული მთლიანობა და უარესიც: ფიზიკური არსებობაც კი, ხელყოფილი და არსებითად დაუცველია; უკრაინელი ხალხი – განწირულ და სასოწარკვეთილ მდგომარეობაშია; მათ მიმართ რუსეთის მიერ, სავარაუდოდ, ამაზრზენი სამხედრო დანაშაულებია ჩადენილი, რაც გამოძიებული უნდა იქნას და რუსეთს სამართალმა პასუხი უნდა მოსთხოვოს. უკრაინის კრიტიკული ინფრასტრუქტურის განადგურება უკრაინელ ხალხს ყოფნა-არყოფნის ზღვარზე აყენებს, მაგრამ ესეც ნათელია: უკრაინა მსხვერპლია ამ მრავალმხრივი, მრავალგანზომილებიანი, ურთიერთგანმაპირობებელი შიდა თუ გარე უსჯულოებისა და ბუნებრივია, საქართველო სამართლისა და სამართლიანობის, უწინარესად კი, მშვიდობიანობის აღდგენის, მაშასადამე, უკრაინელთა სიცოცხლის უფლების უპირობო დაცვის მხარესაა: ყველა საერთაშორისო ფორუმზე ამ პოზიციას მკაფიოდ გამოხატავს და სრულად სოლიდარულია უსჯულოების მსხვერპლი უკრაინელი ხალხის მიმართ. მაგრამ, ეს სოლიდარობა, უკრაინის პოლიტიკური მხარდაჭერა, რასაკვირველია, უწინარესად, ჰუმანიტარული შინაარსისაა, კაცთმოყვარეობით არის განპირობებული. ეს არ ნიშნავს, რომ უკრაინაში ჩადენილი „მრავალმხრივი უსჯულოება" უშუალოდ და პირდაპირ საქართველოს სასიცოხლო ეროვნულ ინტერესებს ხელყოფს, რომელთა დაცვა ომიანობაში ჩართვას გარდაუვლად გამოიწვევდა.




აქვე ესეც ხაზგასასმელია – სრულიად მკაფიოა საქართველოს დამოკიდებულება აგრესორი, ბარბაროსული რუსეთის მიმართ. ეს დამოკიდებულება კი, არამხოლოდ ჰუმანიტარული პოზიციით, არამედ, სწორედაც, ჩვენი სასიცოცხლო ეროვნული ინტერესებითაა განსაზღვრული. კერძოდ: ერთი მხრივ, საქართველოს რუსეთის 2008 წლის აგვისტოს სამხედრო აგრესიის შემდეგ ზავისთვის არ მიუღწევია, საზავო ხელშეკრულება არ დაგვიდია, ხოლო რუსეთი აგრძელებს ჩვენი ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილის – 205-ზე მეტის სამხედრო ოკუპაციასა და ფაქტობრივ ანექსიას; ე.წ. მედვედ-სარკოზის შეთანხმება – ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება იყო და არა ზავი; მართლზომიერად ასეც შეიძლება ვთქვათ, რომ რუსეთთან საქართველო „გაყინული ომის" მდგომარეობაშია, ვინაიდან „casus belli" მანამდე იარსებებს, ვიდრე სამხედრო ოკუპაცია არ შეწყდება და საქართველოს მთელს ტერიტორიაზე ჩვენი იურისდიქცია სრულად არ აღდგება. ამდენად, რუსეთთან „ომის სასარგებლოდ" და ასეთი ომის ლეგიტიმურობის დასაბუთებისთვისაც მნიშვნელოვანი, ძალზე წონადი არგუმენტები მართლაც არსებობს.

მეორე მხრივ, არა მხოლოდ მედვედევ-სარკოზის „ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულება" (ე.ი. ამ შემთხვევაში სწორედაც კონვენციური, საერთაშორისო სამართალი), არამედ ელემენტარული კეთილგონიერება გვკარნახობს, რომ **სამხედრო მოქმედებების განახლება რუსეთის წინააღმდეგ დამღუპველი ავანტურა იქნება, ვინაიდან უდიდესია რისკი, რომ ამას გაცილებით უარესი, საერთოდაც, გამანადგურებელი შედეგები მოჰყვეს, ვიდრე თუნდაც აგვისტოს ომისას იმდროინდელი ხელისუფლების სამხედრო-პოლიტიკურ ავანტურას მოჰყვა.** კატასტროფის ეს უდიდესი რისკი, რომლის გაწევის პასუხისმგებლობასაც ვერც ერთი ჭკუათამყოფელი, ეროვნული და სჯულისმიერი ხელისუფლება საკუთარ თავზე ვერ აიღებს და ვერ აიღებდა (არც უნდა აეღო), გადამწყვეტი არგუმენტია მშვიდობის სასარგებლოდ. თუმცა, უთუოდ უნდა გვახსოვდეს, რომ რუსეთთან ისევ „გაყინული ომის" მდგომარეობაში ვართ და ის, რომ სამხედრო მოქმედებების განახლება მიზანშეუწ-

**სამხედრო მოქმედებების განახლება რუსეთის წინააღმდეგ დამღუპველი ავანტურა იქნება, ვინაიდან უდიდესია რისკი, რომ ამას გაცილებით უარესი, საერთოდაც, გამანადგურებელი შედეგები მოჰყვეს, ვიდრე თუნდაც აგვისტოს ომისას იმდროინდელი ხელისუფლების სამხედრო-პოლიტიკურ ავანტურას მოჰყვა.**

ონლად დამღუპველი იქნება, არამც და არამც არ ნიშნავს რუსეთის მიერ ჩვენი ტერიტორიების სამხედრო ოკუპაციასა და ფაქტობრივ ანექსიასთან შერიგებას. საქართველო ამას არასდროს შეურიგდება, მაგრამ იძულებულია, რომ არა სამხედრო, არამედ სხვა ხერხები, მშვიდობიანი გზები ეძიოს და გამოიყენოს რუსეთის აგრესიასთან გასამკლავებლად და საკუთარი ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად.

მშვიდობის სასარგებლოდ მეტყველებს მეორე, უფრო მნიშვნელოვანიც კი, სჯულისმიერი არგუმენტი – აფხაზებთან სამხედრო დაპირისპირების განახლება აბსოლუტურად კონტრპროდუქტიული იქნება: იურისდიქციის სამხედრო ძალით აღდგენა აფხაზეთში საქართველოს სახელმწიფოებრიობისათვის, რაც ისტორიულადაც ქართულ-აფხაზურ კონსენსუსზე დგას, სრულიად, კატეგორიულად მიუღებელია. ეს ჩვენს სჯულს – სამართალს+სამართლიანობას, სამართლის იდეას და სჯულიერებას – „სჯულზე დგომას“ ანუ ცხოვრების მართალ წესს ძირეულად ეწინააღმდეგება!

**მტრობასა და ძალადობას, მით უმეტეს თანამოქალაქე ავტოქტონურ აფხაზებთან, რომელთაც ჩვენსავით არსად არ გააჩნიათ სხვა სამშობლო, ქართული სახელმწიფოებრიობა ვერ ჰბუობს, ვერ ეგუებოდა და ვერც მომავალში დაეყრდნობა! ფორმალურად, თითქოსდა ოსებთანაც იგივე დამოკიდებულება უნდა გვქონდეს, მაგრამ აქ, ვინაიდან ოსებმა ქურდულად, ავაზაკურად, „ჯაყოსებურად“, ვერაგულად გვიმუხთლეს, არავითარი კანონიერება მათ პოზიციას (აფხაზებისგან განსხვავებით) არ გააჩნიათ და სამართლით მათ ერთი გოჯი ქართული ტერიტორიაც კი არც არასდროს ეკუთნოდათ, არც ეკუთვნით და არც ოდესმე მიეკუთვნებათ, რასაკვირველია, სამაჩაბლოში ძალის გამოყენება საქართველოს იურისდიქციისა და წესრიგის აღსადგენად სავსებით ლეგიტიმური, სრულიადაც სჯულისმიერი იქნებოდა. თუმცა, უდიდესი ალბათობით, თუკი ქართულ-აფხაზური კონფლიქტი მოგვარდა და კონსენსუსით იქ ჩვენი იურისდიქცია აღდგა, არც ცხინვალის რეგიონში გაგვიხდება საჭირო სამხედრო ძალის გამოყენება.**

რაც შეეხება უკრაინის, როგორც თითქოსდა მოკავშირე სახელმწიფოს, დასაცავად ომიანობაში ჩაბმას, აქ უეჭველად ასე მგონია: **ეს ჩვენი ომი არ არის! მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ და უკრაინას მტერი საერთო გვყავს,** უკრაინაში მიმდინარე ომში რომელიმე მხარეს ჩართვა გამორიცხულია. ზოგადად კი, საერთაშორისო ომიანობაში საქართველოს პოზიცია, როგორც სამართლებრივი, კონსტიტუცური ერი-სახელმწიფოსი, სავსებით ნათელია – საქართველო იომებს ოდენ საკუთარი თავის დასაცავად და მაშინაც, თუკი ეს უშუალოდ, პირდაპირ გამომდინარეობს მისი საერთაშორისოდ ნაკისრი ვალდებულებებისგან. ასეთი რაიმე ვალდებულება რომელიმე სახელმწიფოსთან და არც უკრაინასთან არ გვაკავშირებს, ამდენად ამ ომიანობაში ჩართვა – ჩვენივე კონსტიტუციის განსაკუთრებულად უხეში დარღვევა, ანუ აშკარა უსჯულოება (დღეს „სჯული“ – კონსტიტუციურობაა!) იქნებოდა! მსგავს უსჯულეობას არ ვიზამთ და ვერც ვერავინ გვაიძულებს.

კიდევ ერთიც: ემოციურად ქართველების ნაწილის „გაუკრაინელება“ გასაგებია, მაგრამ კატეგორიულად მიუღებელი. გარდა იმისა, რომ ქართველი მხოლოდ საკუთარი სახელმწიფოს ერთგულია, ოდენ მის წინაშეა სამხედროვალდებული და აქ სხვა მართალი პოზიცია გამორიცხულია, ესეც უნდა გვახსოვდეს – საქართველოს ტოლ-სწორი უკრაინის სახელმწიფოებრიობა არ არის და ვერც იქნება. თუნდაც მხოლოდ ამიტომაც, საქართველოს სახელმწიფოებრიობა საუკუნეთა უხსოვარი სიღრმიდან მოდის, საქართველო უფლის ნებითაა სახელმწიფო, მისი თვითგამორკვევა საბოლოოდ მე-10 საუკუნეში შედგა, მას შემდეგ ეს ქვეყანა სჯულისმიერი და ერთიანი ერი-სახელმწიფოა. ჩვენგან განსხვავებით, უკრაინის თვითგამორკვევა დღესაც არ დასრულებულა, ეს ომიანობაც დიდწილად ამ მტკივნეული პროცესის გამოხატულებაა. უკრაინა ამჟამად არა იმდენად სჯულისმიერი, რამდენადაც უფრო – კონვენციური სახელმწიფოა. უკრაინის სუვერენიტეტი, ისევე როგორც მისი ტერიტორია, მხოლოდ და მხოლოდ საერთაშორისო ანდა უფრო ნაკლებმასშტაბური, შიდა-სახელმწიფოებრივი (რუსეთის იმპერიის ფარგლებში) პოლიტიკური შეთანხმებების –კონვენციების, ანდა სულაც ცალმხრივი, „ვოლუნტარისტული“ (მაგალითად, ხრუშჩოვის მიერ ყირიმის ჩუქება უკრაინისთვის) პოლიტიკური ნების ნაყოფია. მხოლოდ ამ მიზეზითაც, სხვაც რომ არაფერი, რაც არ უნდა ეცადონ, ის ვერ იქნება ჩვენი ტოლ-სწორი. ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ რუსეთი აგრესორი და ბარბაროსი არ არის. რასაკვირველია, არის და ეს უდავოა. **ამიტომ სრული სოლიდარობა უკრაინას. მაგრამ ქართველების „გაუკრაინელებისა“ კი რა მოგახსენოთ – ესეც ცხადი უსჯულოება მგონია!**

ომი თუ მშვიდობა? ქართველთა სჯულით უკვე ძალზე დიდი ხანია, ათადან და ბაბადან მოყოლებული, ჩვენი სახელოვანი წინაპრების მიერ ამ კითხვაზე მკაფიო პასუხი გაცემულია და ანდერძად დატოვებულია ეს ურყევი არჩევანი: თავდაუზოგავი ომი, თუკი ამ უდიდესი განსაცდელის თავიდან ასარიდებლად ყველაფერი ვიღონეთ, მაგრამ მიუხედავად ამისა, არანაირი სხვა გზა სამშობლოს, საკუთარი ოჯახების, ერთმანეთის, ჩვენი ეროვნული იდენტობისა თუ სჯულიერების დასაცავად აღარ დაგვრჩენია. ხოლო ყველა სხვა დანარჩენ შემთხვევაში, უდავოდ, უეჭველად – მხოლოდ მშვიდობა!

**ჰოდა, უსჯულოთა ჯინაზე და მათი გოროზი გულების გასახეთქად, მშვიდობა მოგვცეს და ნუ მოგვიშალოს ღმერთმაც მრავალჟამიერ!**

FOR.GE

# ბახმუტთან კიდევ 2 ქართველი დაიღუპა



**უკრაინაში რუს ოკუპანტებთან ბრძოლას კიდევ 2 ქართველი ემსხვერპლა – მიხეილ თევდორაძე და სერგო ლისიხი, ისინი ბახმუტთან შეტაკებების დროს დაიღუპნენ. ამის შესახებ ინფორმაციას სოციალურ ქსელში უკრაინაში მყოფი მათი თანამებრძოლები ავრცელებენ. ინფორმაციას ადასტურებს უკრაინაში საქართველოს საელჩოც.**

**გავრცელებული ინფორმაციით, არის ერთი დაჭრილიც.**

**ომს 24 თებერვლიდან დღემდე უკვე 36 ქართველი მებრძოლი ემსხვერპლა.**

## ალექსანდრე ანქვაბი:

# თბილისში შემაშფოთებელს ჯერ ვერაფერს ვხედავთ!

**აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება თბილისის მიმართ „სიფხიზლეს არ კარგავს, განსაკუთრებით - იმ მონაცემების ფონზე, რომ ემისრები, მათ შორის – პოლონეთიდან, რუსეთის წინააღმდეგ „მეორე ფრონტის“ გახსნას ცდილობდნენ“** – განუცხადა „РИА Новости“-ს აფხაზეთის დე ფაქტო პრემიერ-მინისტრმა ალექსანდრე ანქვაბმა.

**„სიფხიზლეს არასოდეს ვკარგავთ, არც ერთ ვითარებაში, მით უფრო – დღეს, როცა ბევრია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ემისრები ევროპის ქვეყნებიდან ჩამოდიოდნენ და ცდილობდნენ მეორე ფრონტის გახსნის ინსპირაციას. მადლობა ღმერთს, ჯერ-ჯერობით ეს არ ხდება“,** – განაცხადა აფხაზმა პოლიტიკოსმა იმ კითხვის საპასუხოდ, **„შეინიშნება თუ არა რაიმე წინაპირობები თბილისთან ურთიერთობების ესკალაციისთვის“.**

ანქვაბის თქით, რეგიონში ვითარება „ყოველთვის დაძაბულია“, თუმცა მას სწამს, რომ „არის გონიერი ადამიანების საკმარისი რაოდენობა, რომელიც ესკალაციას არ დაუშვებს“.

**„ჩვენ თვალს ვადევნებთ პროცესებს, რომლებიც იქ (თბილისში – რედ.) სხვადასხვა გარემოებების გამო ხდება და რაიმე აქციები, რომლებიც შეგვაშფოთებდა, იქ არ არის“,** – დასძინა მან.

ამასთან, ანქვაბმა „მნიშვნელოვან ფაქტორად“ შეაფასა საქართველოში რუსი ტურისტების ჩასვლა.

**„გვაიმედებს და შთაგონებულები ვართ იმით, რომ საქართველოში გასულ წელს და წელსაც რუსეთიდან უამრავი ტურისტი ჩადის. ესეც მნიშვნელოვანი ფაქტორია. არ ვსაუბრობ მათზე, ვინც გადაწყვიტა, იქ უკრაინის სპეციალური სამხედრო ოპერაციის დაწყების შემდეგ დამალულიყო, ვსაუბრობ ტურისტებზე, რომლებიც საქართველოში დასასვენებლად ჩადიან“,** – აღნიშნა აფხაზმა პოლიტიკოსმა.

**ზოგიერთი უკრაინელი პოლიტიკოსი მოუწოდებდა საქართველოს, უკრაინის ომის ფონზე შექმნილი ვითარებით ესარგებლა და გადაეჭრა თავისი ტერიტორიული პრობლემები.**

**თავის მხრივ, საქართველოს ხელისუფლება კვლავინდებურად აცხადებს, რომ ტერიტორიული კონფლიქტების მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი გზით გადაჭრის კურსის ერთგული რჩება.**

**ამასთან, საქართველოს მმართველი გუნდის რიგი წარმომადგენლები და „ოცნებისგან“ ვითომდა გამოყოფილი რიგი პოლიტიკოსები, რომლებმაც მოძრაობა „ხალხის ძალა“ ჩამოაყალიბეს და ანტიდასავლური ნარატივების სისტემატური ფრქვევით არიან დაკავებულები, ავრცელებენ ინფორმაციას, თითქოს დასავლეთი საქართველოს ომში ჩათრევას ცდილობს.**

**თავის მხრივ, საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი, ისევე, როგორც დასავლელი პოლიტიკოსები და დიპლომატები, ამას კატეგორიულად უარყოფენ.**

კითხვაზე, „შესაძლებელია თუ არა, აფხაზეთი თვალსაწიერ მომავალში რუსეთის ფედერაციის ნაწილად იქცეს?“, ანქვაბმა შემდეგი განაცხადა:

**„ამ საკითხზე საუბრები ყოველთვის იყო. 2008 წელს მოხდა ჩვენი რესპუბლიკის აღიარება და ჩვენთვის ეს ძვირფასია. რუსეთის ფედერაციისთვის ეს არგაწვევადი გადაწყვეტლებაა. აფხაზეთი პატარა ქვეყანაა, რომლის ხალხმაც დამოუკიდებლობას მიაღწია და სურს, იყოს დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო. ჩვენ ეს გამოგვდის. ჩვენ გვსურს, გავხდეთ უკეთესები, რუსეთი კი ამაში გვეხმარება და დაგვეხმარება“.**

ანქვაბი სოხუმის აეროპორტის რეკონსტრუქციის გეგმებსაც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ „ტრანზიტი საინტერესო თემაა“.

**საქართველოც და მისი საერთაშორისო პარტნიორები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს ქვეყნის განუყოფელ ნაწილებად მიიჩნევენ, რომლებიც სადღეისოდ რუსეთის მიერაა ოკუპირებული. სოხუმისა და ცხინვალის ე.წ. დამოუკიდებლობა მოსკოვის გარდა, მხოლოდ ნიკარაგუას, ვენესუელას, სირიის მმართველ კრემლის სატელიტ რეჟიმებს, ასევე კუნძულოვან მინისახელმწიფო ნაურუს აქვს აღიარებული.**

**„ჩვენი ოცნებაა 2024 წლის ბოლოს თუ სამომავლოდ ყველაფერი სასიკეთოდ განვითარდება, ასეც იქნება. ჯერჯერობით პირდაპირი კავშირი არ გვაქვს, ვნახოთ, რა მოხდება მომავალში. რა თქმა უნდა, ტრანზიტი – ეს უდავოდ საინტერესო თემაა. თუ იგი ხელსაყრელი იქნება ყველა ქვეყნისთვის, რომელიც ამ ტრანზიტით ისარგებლებს, მაშინ უნდა დავსხდეთ და დავიწყოთ მოლაპარაკებები“,** – აღნიშნა აფხაზმა პოლიტიკოსმა.

**სოხუმის ხელისუფლება რუსეთის დახმარებით აეროპორტის აღდგენას 2024 წლის დასასრულისთვის გეგმავს. თუმცა რუსული მხარის წინადადებები ფაქტობრივად, აეროპორტის დასაკუთრებას გულისხმობს, რამაც სოხუმში წინააღმდეგობები გამოიწვია.**

**სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (ICAO) სოხუმის აეროპორტს საერთაშორისოდ არ აღიარებს, რადგან სცნობს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ცა აფხაზეთის თავზე ვერ გაიხსნება საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ნებართვის გარეშე, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს საერთაშორისო ნორმების დარღვევა იქნება. ICAO-მ სოხუმის აეროპორტის კოდის ანულირება მოახდინა და 2006 წლიდან თავისი ოფიციალური დოკუმენტაციიდან მის შესახებ ინფორმაცია ამოიღო.**

ანქვაბმა ჟურნალისტს ისიც უამბო, რომ აფხაზური კანონმდებლობა „არ აწყობს ენერგეტიკით დაინტერესებულ რუს ინვესტორებს“.

**„იმისათვის, რომ რუსი ინვესტორი შემოვიდეს, მისთვის გასაგები უნდა იყოს შესაბამისი კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს ენერგეტიკის სფეროში სამართლებრივ ურთიერთობებს. ჯერჯერობით ეს კანონმდებლობა არ აწყობთ რუს ინვესტორებს და ჩვენ ვმუშაობთ მის დახვეწაზე“,** – აღნიშნა მან.



№187. ხუთშაბათი, 15 დეკემბერი, 2022 წელი.



**საქართველოს უახლეს ისტორიას არაერთი პოლიტპატიმარი ახსოვს და უამრავი პატიმრობის ისტორია, ხმაურიანი დაპატიმრებით დაწყებული, ცემა-ტყეპით, წამებითა და არაადამიანური მოპყრობით დამთავრებული. ამ ყველაფერთან ერთად, იყო წნეხის პირობებში, ქონების ჩამორთმევის ფაქტებიც, არამხოლოდ გათავისუფლების სანაცვლოდ. თუმცა, ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი დავით მირცხულავას პატიმრობის ისტორია განსხვავებულია.**

**მირცხულავა 4 წელი და ერთი თვე იხდიდა სასჯელს ჯერ მე-7 საპყრობილეში, შემდგომ კი ე.წ. „რეზბალნიცაზე“, სადაც თვითმხილველი იყო უამრავი სისასტიკის და არაადამიანური მოპყრობის. ციხის საავადმყოფოში მის ყოფნას დაემთხვა ე.წ. „ციხის ბუნტი“, როცა განურჩევლად ჩახოცეს არა მარტო ისინი, ვინც პროტესტი გამოთქვა, არამედ მძინარე პატიმრებიც. სააკაშვილის ხმაურიანმა პატიმრობამ დავით მირცხულავას დაპატიმრების პერიოდი გაგვახსენა, როცა ყოფილი მაღალჩინოსანი რამდენჯერმე გახდა ცუდად და გულის შეტევით, ბადრაგის თანხლებით, საავადმყოფოში გადაიყვანეს. თუმცა, მალევე უკან დააბრუნეს.**

## დავით მირცხულავა:

# ოპერაციის შემდეგ დრენაჟებით წამიყვანეს საპატიმროში...

**— ბატონო დავით, საკმაოდ მძიმე პატიმრობა გქონდათ, სააკაშვილის რეჟიმის მთელი სისასტიკე საკუთარ თავზე გამოსცადეთ. როგორ გაიხსენებდით პატიმრობის პერიოდს, შეიძლება ვთქვათ, რომ თქვენი პატიმრობის მიზეზი, გარკვეულწილად, თქვენი პროფესია გახდა?**

— პროფესიიდან გამომდინარე ნამდვილად არ აღმოვჩენილვარ საპატიმროში. მე სხვა ადამიანებთან ერთად ვიყავი ე.წ. „მტრების“ სიაში შეყვანილი, რომელიც, ასე ვთქვათ, სასწრაფოდ უნდა დაეპატიმრებინათ. 2003 წელს ის ძალა, რომელიც შემდგომ ხელისუფლებაში მოვიდა, მუდმივად ადგენდა გარკვეული ადამიანების სიას და მეც ამ სიაში თავიდანვე მოვხვდი. უამრავი ადამიანი მოხვდა საპატიმროში, 300 000-ზე მეტი. აქ დანაშაულს ან უდანაშაულობას ნამდვილად არ ჰქონდა არავითარი მნიშვნელობა. თუ სიაში იყავი, აუცილებლად საპატიმროში უნდა მოხვედრილიყავი. სხვა მექანიზმიც მოიფიქრეს - ოფიციალურად ან არაოფიციალურად თანხის გადახდის შემთხვევაში, შეგეძლო თავისუფლებაც მიგეღო, პრივილეგიებიც და ა.შ. აი, ასეთი მეთოდით დაიწყეს ოპონენტებთან ბრძოლა, ანუ იმ ხალხთან, ვინც არ იზიარებდა მათ მსოფლმხედველობას, მათ ტაქტიკას, უბრალოდ, მათთან არ მეგობრობდა. არც მალავდნენ, რომ ძალიან ბევრი ადამიანი მოხვდებოდა ციხეში, გარკვეული ადამიანები ამას ელოდებოდნენ კიდეც. მეც მქონდა ეს განცდა, ვფიქრობდი, რაღაც სულელური ბრალდებით მოხდებოდა ეს და ასეც მოხდა. თუმცა, ვიმეორებ, საქმესთან ჩემს დაპატიმრებას კავშირი არ ჰქონია.

**— დაპატიმრების შემდგომ გულის შეტევით მე-9 საავადმყოფოში გადაგიყვანეს. ავადმყოფ პატიმრებს როგორ გექცეოდნენ?**

— მძიმე კარდიოლოგიური პრობლემებით შემიყვანეს საპატიმროში, საავადმყოფოდან გადამიყვანეს. დღეს, როცა საუბარია პატიმრის არასათანადოდ მკურნალობაზე, ჩემზე არა, იმ გარდაცვლილ ადამიანებზე ვამბობ, ვინც საპატიმრო გაიარა, იგივე **სულხან მოლაშვილზე,** ნამდვილად ცოტა შემხვედრია მასზე ჯანმრთელი ადამიანი, სანამ ის საპატიმროში მოხვდებოდა. შემდეგ კი მთელ საქართველოს ახსოვს მისი დიაგნოზი. ყველაფერი ხომ შედარებითია. ანდა ბ-ნი **ჭანკვეტაძე,** ქართულ ავიაციაში თუ ვინმეს დამსახურება ჰქონდა, ის იყო. 6 წელი გაატარა ციხეში, გამოვიდა და გარდაიცვალა. გამორჩეული ქართველი ენერგეტიკოსი **შოთა მაისურაძე**... რომელი ერთი ჩამოვთვალო. ახლახან გარდაიცვალა გენერალი **კენჭაძე**. რომ გადახედოთ იმ ადამიანების სიას, რომლებიც იმ პერიოდში საპატიმროში შევიდნენ და იქ იყვნენ ხანგრძლივად, ყველა დაავადებული გამოვიდა. ბევრი ვერ გამოვიდა, დაიღუპნენ. მახსოვს, აბაშის გამგებელი, **სოსო ჭანტურია** — მსგავსი ავადმყოფი ადამიანი არ მინახავს. თვეები ადამიანს სუნთქვაც უჭირდა, რეანიმაციული პაციენტი იყო, მას კი საპატიმროს არ ატოვებინებდნენ. ყოველ ერთ საათში სჭირდებოდა სამედიცინო დახმარება, რეანიმაციაში იყო გადასაყვანი, მაგრამ ვერ გადაიყვანეს და საპატიმროში გარდაიცვალა. როცა საუბარია დღევანდელ საპატიმროზე, შედარებაც არ შეიძლება. ვინც მაშინ ის ჯოჯოხეთი გამოიარა, ყველა ძალიან მძიმე დაავადებებით გამოვიდა. შემიძლია **დავით ქანთარია** გავიხსენო, წალენჯიხის გამგებელი და შემდეგ ფოთის მერი, რომელსაც საერთოდ დაუნგრიეს ჯანმრთელობა. ორჯერ დაიჭირეს და დღეს ის დიალეზზეა, სწორედ ციხეში გატარებული არაადამიანური ყოფის გამო. თითო-ოროლა დავრჩით იმ პერიოდის თანამდებობის პირებიდან ცოცხალი, ვინც საპატიმროში ვიყავით, დანარჩენი ყველა ამ ქვეყნად არის წასული.

**— თანამდებობის პირებზეც იგივე სახით ხორციელდებოდა ღირსების შემლახავი მოპყრობა, ცემა, როგორც რიგით პატიმრებზე თუ იმათ, ვინც ფულს იხდიდა, არ ეხებოდნენ? მოლაშვილის წამების ფაქტი ყველასთვის ცნობილია და არა მარტო, მისი.**

— უამრავი ასეთი ფაქტი იყო. იმ პერიოდში ციხეში ყოფნა, უკვე წამების ტოლფასი იყო. გახსოვთ, სულხანთან დაკავშირებული ფაქტი - ევროკომისიის გარკვეული ჯგუფი შემოვიდა მე-7 საპყრობილეში, **მათიას იორში** და ერთ-ერთი ბულგარელი დეპუტატი, რომელიც უჰაერობის გამო ცუდად გახდა და შემოსვლისთანავე ჩაიკეცა. მაშინ პირადად მიმართა სახალხო დამცველს ბ-ნმა იორშმა: აქ ადამიანებს, როგორ აჩერებთ, ჰაერი საერთოდ არ არისო. სწორედ ამ ვიზიტის შემდეგ გაჭრეს რამდენიმე ფანჯარა, რათა ჰაერით ესუნთქათ ადამიანებს. წარმოიდგინეთ, ოპერაციის შემდეგ დრენაჟებით წამიყვანეს ისევ საპატიმროში. როცა, პროფესორი **გოგა ფიფია,** რომელიც ხელმძღვანელობდა ქირურგიულ განყოფილებას, ეუბნებოდა — ექიმი ვარ და დამიჯერეთ, არ შეიძლება ამის ტრანსპორტირება და სადმე, მით უფრო ციხეში გადაყვანაო. გოგას უთხრეს — მაშინ თქვენც წაგიყვანთ მასთან ერთადო. აი, ასეთი დამოკიდებულება იყო. ციხის საავადმყოფოში არასდროს იყო წამალი. ექიმების უამრავი მცდელობის მიუხედავად, პატიმრების გადარჩენის საშუალება არ იყო — მედიკამენტები არ ჰქონდათ. გაუთავებლად ხდებოდა საკნებში შემოსვლა, ხელკეტებით ცემა და უბედურება, გაშიშვლება ყინვაში. შუაღამეზე შემოვარდნა და პატიმრის გაყვანა წესად იყო. ცდილობდნენ, როგორმე ფსიქოლოგიური ზეწოლა მოეხდინათ. წარმოიდგინეთ, ჩვენ ხომ არ ვიყავით იმ პერიოდში დღევანდელი „ჩინოვნიკებივით“ განსაკუთრებულ ციხეში, არც ერთი იმ პერიოდის მთავრობის წევრი, ცალკე ციხეში არ ვიყავით. ჩვენ ვიყავით ჩვეულებრივ ყველა კატეგორიის პატიმართან ერთად, ზონა იყო თუ ციხე.

დღეს ეს წარმოუდგენლად მიაჩნიათ. ცალკე ციხე და კამერა უნდათ. საერთო ციხეში შესვლაზე ისტერიკებს ტეხენ. ცალკე ციხეს, ფაქტობრივად, ცალკე კამერებს, ნომრებს უშენებენ. მადლობა ღმერთს, რომ ასე ექცევიან. ის სისასტიკე და ჯოჯოხეთი, რაც იმ პერიოდში იყო, არასდროს უნდა განმეორდეს.

**— თქვენი სასამართლო პროცესებიდან ვიცი, რომ დიდი პატივისცემით სარგებლობდით პატიმრებს შორის. ფულიც არ გადაგიხდიათ და პატიმრებიც გიფრთხილდებოდნენ.**

— ყველგან ასეთ დამოკიდებულებას ვგრძნობდი და მინდა, ყველა იმ პატიმარს მადლობა ვუთხრა. უამრავი ადამიანი იყო იქ და ყველასთან ვცდილობდით, კარგი ურთიერთობა გვქონოდა, მეგობრები გაგვეჩინა. უბრალოდ, ყველა პატიმარი ჩვეულებრივი ცხოვრებით ვცხოვრობდით და ყველა მათგანთან ვინაწილებდით საშინელ მდგომარეობას, იმ ბოროტებას, რაც გარშემო სუფევდა. ყველასგან სიკეთის, კარგი მოქცევის და მეგობრობის მეტი არაფერი მახსოვს, არც სულხან მოლაშვილს. სულხანსაც ყველა ძალიან კარგად ექცეოდა და პატივს ცემდა. როდესც პატრიარქის შუამდგომლობით გაგვათავისუფლეს მე და სულხანი, მთელი ციხე გვაცილებდა.

**— რადგან სულხანი ახსენეთ, გკითხავთ, მისმა ადვოკატმა შალვა შავგულიძემ, სააკაშვილის უცხოეთში სამკურნალოდ გადაყვანასთან დაკავშირებით გაკეთებულ კომენტარში, განაცხადა: „არსებობს დროებითი ღონისძიების გამოყენების მოთხოვნა. ეს პრაქტიკა საქართველოს მიმართ ევროპის სასამართლოს გააჩნია — სწორედ ევროპის სასამართლოს ჩართულობით მოხდა მოლაშვილის გადაყვანა, სათანადო მკურნალობა“.**

— კი, მაგრამ, სულხანი გადაყვანილ იქნა უცხო ქვეყანაში სწორედ იმის შემდეგ, რაც ჩვენ საპატიმრო დავტოვეთ. სულხანი, თავისი ურთულესი დიაგნოზებით, ერთხელაც არ გადაუყვანიათ ქალაქის კლინიკაში. მას შემდეგ, რაც ჩვენ საპატიმრო დავტოვეთ — 2008 წლის 6 იანვარს, საღამოს, პირდაპირ უწმინდესთან მივედით. სულხანი რამდენიმე თვის გამოსული იყო, უმძიმესი დიაგნოზით ციხიდან, როდესაც ის საზღვარგარეთ მოხვდა. ჯოჯოხეთური წამება და არაადამიანური მოპყრობა გადაიტანა და ეს იყო ყველაფრის მიზეზი.



გაუთავებლად ხდებოდა საკნებში შემოსვლა, ხელკეტებით ცემა და უბედურება, გაშიშვლება ყინვაში. შუაღამეზე შემოვარდნა და პატიმრის გაყვანა წესად იყო. ცდილობდნენ, როგორმე ფსიქოლოგიური ზეწოლა მოეხდინათ.

**როცა პროფესორი ეუბნებოდა, არ შეიძლება ამის ტრანსპორტირებაო, უთხრეს – მაშინ, თქვენც წაგიყვანთ მასთან ერთადო!**



ცენტრალურ ციხეში, ე.წ. „კარმუშკას“ ალებდნენ, შიგნით იარაღს ყოფდნენ და ისე ესროდნენ. მძინარე ადამიანები არიან დახოცილები. მათ საერთოდ არ იცოდნენ, ბუნტი იყო, თუ რა მოხდა.

**— რა რაოდენობის თანხის გადახდას გთხოვდნენ თავისუფლების სანაცვლოდ?**

— ყველასთან ჰქონდათ ერთნაირი მიდგომა — უნდა გადაეხადათ თანხა თავისუფლებისთვის. სხვადასხვა ეტაპზე, სხვადასხვა თანხა სახელდებოდა. საბოლოოდ, ვუთხარი — 10 ლარსაც კი არ გადავიხდი, შეგიძლიათ დამტოვოთ. ნამდვილად მიმაჩნდა, რომ გადასახდელი არაფერი მქონდა. შემოთავაზებები და ეს საუბრები ხშირად იყო. მე დღე არავის დავუკითხივარ, ღამის 1-2 საათზე შემოდიოდნენ. უამრავი წიგნი მაქვს წაკითხული ბოლშევიკების პერიოდის ციხეებზე, იმ პერიოდის „გულაგზე“ და უამრავი მწერალი წერდა საბჭოთა კავშირის საშინელ ბანაკებზე და ციხეებზე, რომლებიც იყო, მაგრამ მსგავსი დამოკიდებულება არსად წამიკითხავს. ქვეყანამ მოიცილა ეს რეჟიმი და სისატიკე. ციხეებში მსგავსი ფაქტები აღარასდროს უნდა მოხდეს. როცა უცხოელები წერენ პენიტენციურ სისტემაში გამოსწორებული მდგომარეობაა და კარგი სიტუაციაა, ძალიან კარგია. მე პატიმრები ისეთი ნაცემები მინახავს, არა მგონია, სადმე ასე სცემდნენ — სიკვდილის პირას მიჰყავდათ.



სულხანი, თავისი ურთულესი დიაგნოზებით, ერთხელაც არ გადაუყვანიათ ქალაქის კლინიკაში.

**— ციხის საავადმყოფოში თქვენი გადაყვანაც პრობლემა იყო?**

— რა თქმა უნდა. როცა, ცუდად ყოფნის დროს, საავადმყოფოში გადამიყვანდნენ, შემდეგ იმავე წუთს, ჯანმრთელობის არავითარი დადებითი დინამიკა რომ არ გქონოდა, უკან გაბრუნებდნენ, როგორც მე, მაგალითდ, მე-7 საპყრობილეში. სადღაც ერთი წელი იყო ასე და შემდეგ, სტრასბურგმა მიიღო გადაწყვეტილება და ქვეყანას მოსთხოვა, ჩემი პენიტენციური სისტემის საავადმყოფოში დაბრუნება. ასე დავბრუნდი ციხის საავადმყოფოში, თორემ მთელ პატიმრობის ვადას, ალბათ, მე-7 საპყრობილეში გამატარებინებდნენ.

**— „ციხის ბუნტს“ როგორ გაიხსენებდით? „რეზბალნიცაზე“ იყავით მაშინ, სადაც დაიწყო.**

— სწორედ „რეზბალნიცაზე“ დაიწყო, როცა ორი პატიმარი, ერთი ეპილეფსიით დაავადებული, ჩაიყვანეს და სასტიკად სცემეს, რადგან არ აყვნენ ადმინისტრაციის მიერ დადგმულ პროვოკაციას — არეულობის მოწყობას. იგეგმებოდა, რომ „დადგმულიყო“ პატიმრებს შორის ვითომ დაპირისპირება. ეს არ გააკეთა პატიმარმა, რომელიც ეპილეფსიით იყო დავადებული და ისე სცემეს, სიკვდილამდე მიიყვანეს. შემდეგ მეორე ადამიანი გამოექომაგა და იმასაც გაუსწორდნენ. პატიმრების თვალწინ, ეზოში, დაყარეს და შემდეგ უგონოები ეზოდან გაათრიეს. აი, ამას მოჰყვა ბუნტი. აპირებდნენ, რომ ამ პროვოკაციის შედეგად მაქსიმალური რაოდენობის ხალხი დასჯილიყო და ასეც მოხდა. ჩვენი კორპუსი ქირურგიულ კორპუსად ითვლებოდა და დერეფანში ვერ გახვიდოდი, იმდენი დაჭრილი იყო იატაკზე. უბედურებმა, არც კი იცოდნენ, რა ხდებოდა. გვეკითხებოდნენ, რატომ გვესროლესო, არავინ იცოდა. ცენტრალურ ციხეში, ე.წ. „კარმუშკას“ აღებდნენ, შიგნით იარაღს ყოფდნენ და ისე ესროდნენ. მძინარე ადამიანები არიან დახოცილები. მათ საერთოდ არ იცოდნენ, ბუნტი იყო, თუ რა მოხდა. გარკვეული პოლიტიკური ფიგურები, იმ დროინდელი ხელისუფლების ლიდერები, გამოდიოდნენ და იძახდნენ, ერთ-ერთ კორპუსს ტანკებს მივუშვერთ და ბუნტს ტანკებით ჩავახშობთო. ამ დროს, თითქოს, იქ ადამიანები არ იყვნენ.

**— დღეს სააკაშვილი პატიმრობაშია და, ფაქტობრივად, პატიმრობის ვადას კლინიკაში ატარებს. როგორ შეაფასებდით პროცესს, რომელიც ექსპრეზიდენტთან მიმართებაში მისი პატიმრობის დღიდან განვითარდა?**

— ბუნებრივია, განსაკუთრებული მოპყრობაა მის მიმართ. არ მინდა საერთოდ ამ პატიმარზე საუბარი. ვისურვებდი, მომავალში საქართველოს ყოველთვის ღირსეული პრეზიდენტი ჰყავდეს და ღირსებით იყოს ყველგან. უამრავი პოლიტიკური პატიმარი ყოფილა და ისინი ღირსეულად ატარებდნენ სასჯელს და ღირსეულად იქცეოდნენ. ავადმყოფ ადამიანზე არ უნდა ისაუბრო, მაგრამ იმდენი წავიკითხე ავადმყოფობებზე (მეც საკმაოდ ბევრი დაავადებები მაქვს), რომ ვკითხულობ რაღაცებს, მეცინება. პროფესიულ განმარტებებს არ იძლევიან ის ჯგუფები, რომლებიც მუდმივად, თითქოს ღელავენ.

**— ანუ სასამართლო-სამედიცინო დასკვნა საეჭვოა?**

— მე როცა ვსაუბრობდი იმ ადამიანებზე, ისინი მაშინ რეანიმაციაში უნდა ყოფილიყვნენ ან იყვნენ. რამდენადაც ვიცი, ეს ბატონი, ჩვეულებრივ თერაპიულ პალატაშია და არა რეანიმაციულში. ღმერთმა ნუ გადაიყვანოს. არავის სიკვდილი ნამდვილად არ მინდა, შვილები ყავს. მისმა ერთმა შვილმა, მართლაც დატოვა ჩემზე ნორმალური ადამიანის შთაბეჭდილება. არ მინდა პატიმარზე ლაპარაკი, თუნდაც ისეთ პატიმარზე, რომელიც პენიტენციურ სისტემაში არ არის, ქალაქის საავადმყოფოშია. მიმაჩნია, რომ სწორი არ არის. ხშირად კომიკურ სახეს იღებს ამ ადამიანის ჯანმრთელობაზე მზრუნველი ადამიანების განცხადებები და დასკვნები. სერიოზულად რომ წაიკითხავ, უბრალოდ, ღიმილის იწვევს, რადგან ხშირად სისულელეები წერია.

**— დაბოლოოს, დღევანდელ სასამართლოზე რას იტყვით. ბევრი რეჟიმისდროინდელი მოსამართლეა სისტემაში და ევროკავშირიც ითხოვს 12-პუნქტიანი გეგმით, სასამართლო რეფორმას, პოლიტიკური მართლმსაჯულებიდან გამომდინარე.**

— იმ პერიოდში სასამართლო, როგორც ასეთი, ნამდვილად არ არსებობდა. პროკურატურის ნებისმიერ განაცხადს, ფაქტობრივად, სასამართლო ნოტარიულად აფორმებდა. მნიშვნელობა არაფერს ჰქონდა, არც ადვოკატის მუშაობას, არც სიმართლეს. პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო მიღებული და შესაბამისად, ადამიანი უნდა დასჯილიყო. სასამართლოში გამამართლებელი განაჩენები საერთოდ არ არსებობდა. თვალს ვადევნებ, ხშირად ვკითხულობ, რომ რამდენჯერ არის მიღებული გამამართლებელი გადაწყვეტილება და შედარება არ შეიძლება იმ სასამართლოსთან. ამ სასამართლოს, ალბათ, უამრავი ნაკლი აქვს. მე იურისპრუდენციაში დილეტანტი ვარ, მაგრამ მიმაჩნია, რომ ის სტატისტიკური მონაცემები, რაც ქვეყნდება, მნიშვნელოვანი დადებითი ტენდენციებია. მაგრამ სრულყოფილება მუდმივად უნდა გაგრძელდეს. ბევრი რამ არის დღეს სასამართლოში გამოსასწორებელი, მაგრამ როგორ შეიძლება, ადამიანმა ის სასამართლო დღევანდელს შეადაროს!

ესაუბრა
**შორენა კოწოწაშვილი**

# შეწყვიტე სიმულაციები, სააკაშვილო!!!




**მიხეილ სააკაშვილი, მისი გარემოცვა და ოჯახი კვლავ აგრძელებს ქვეყნის გარეთ იმის მტკიცებას, რომ ექს-პრეზიდენტს საქართველოს ხელისუფლება აწამებს, მას არ მკურნალობს და ადამიანის უფლებებს უხეშად არღვევენ.**

როგორც ჩანს, ხელისუფლება აპირებს, რომ ამის საწინააღმეგო მტკიცებულებები, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთაც, სააკაშვილის ბედით შეწუხებულ საზოგადოებას აჩვენოს. იუსტიციის მინისტრი **რატი ბრეგაძე** ამბობს, რომ თუკი სააკაშვილი მიზანმიმართულ სიმულაციას არ შეწყვეტს, მაშინ იძულებულები გახდებიან კონკრეტული ვიდეოკადრები გაავრცელონ.

**„თუ სააკაშვილის მხრიდან სიმულაციური მოქმედებები არ შეწყდება, გარკვეული კადრები გასაჯაროვდება. ჩვენ აქამდე შეგნებულად ვიკავებდით თავს მსგავსი საუბრისგან, ყოველთვის მოვუწოდებდით მას, რომ დამორჩილებოდა ექიმების თხოვნას, ჩაეტარებინა სრულფასოვანი მკურნალობა, ხელი შეეწყო, როგორც მას, ასევე, მის გარემოცვასაც მკურნალი ექიმებისთვის, მაგრამ, სამწუხაროდ, თამამად უნდა ითქვას, რომ სრულფასოვან მკურნალობას ვერ ვხედავთ, სიმულაციებს აქვს ადგილი.**

**რა თქმა უნდა, არსებობს დამადასტურებელი მასალა, ასეთი არის ვიდეო-მასალა. ეს ვიდეომასალა ნათლად აჩვენებს, რომ ეს ადამიანი ხელს უშლიდა ექიმების საქმიანობას და ასევე, სასამართლოს საქმიანობას. ჩვენ ვერიდებით ამ ყველაფერზე საუბარს, მაგრამ თუკი მაღალი ინტერესიდან გამომდინარე, რასაც ჰქვია ქართველი ხალხის უსაფრთხოება, სახელმწიფოს უსაფრთხოება და საერთაშორისო იმიჯი და, ასევე, იმის დადასტურება, რომ საქართველოში არავის აწამებენ და საქართველოსგან არ უნდა შეიქმნას მტრის ხატი, თუ არ შეწყდება სიმულაციური მოქმედებები, იძულებული ვიქნებით გარკვეული კადრები გავასაჯაროოთ“,** — განაცხადა რატი ბრეგაძემ.

ანალიტიკოსი **ვახტანგ ძაბირაძე** მიიჩნევს, რომ მიხეილ სააკაშვილის ოჯახის გააქტიურება ლოგიკურია და მოსალოდნელიც იყო, რადგან ფაქტი სახეზეა, სააკაშვილის პარტია იბრძვის არა სააკაშვილისთვის, არამედ მისი ელექტორატისთვის. ამიტომ საგარეო აქტიურობის გარდა სხვა არაფერია დარჩენილი. თუმცა, ძაბირაძე მიიჩნევს, რომ ხელისუფლებაზე ეს აქტიურობა გავლენას ვერ მოახდენს.

**„კი ბატონო, განცხადებები კეთდება ზოგიერთი ევროპარლამენტარისგან, მაგრამ ამას რა მოჰყვება? პარალელურად ვხედავთ, რომ ხელისუფლების წარმომადგენელი, საგარეო საქმეთა მინისტრი ამ დღეებში მინისტერიალში მონაწილეობას ღებულობს. პარალელურად, ვიგებთ, რომ საუბარია საქართველოს დახმარებაზე. გარდა ამ განცხადებებისა, რა ქმედით ნაბიჯებს გადადგამს დასავლეთი, რომელიც შეიძლება ხელისუფლებისთვის საგანგაშო იყოს? არ მგონია ხელისუფლებას მხოლოდ სააკაშვილზე საუბარი უნდოდეს, მას 12-პუნქტიანი გეგმის შევსებაზეც პრობლემები აქვს.**

**ამიტომ ჩვენი პარტნიორების მხრიდან ზეწოლა საკმარისი არ იქნება, რომ ხელისუფლებამ სააკაშვილის მიმართ გადაწყვეტილება მიიღოს. მეორეა, რომ პოლიტიკურად ხელისუფლებას სააკაშვილის გათავისუფლება რა სახის ზიანს მოუტანს. „ოცნება“ მისი გათავისუფლების შემთხვევაში თუ ხედავს, რომ ვერანაირ პოლიტიკურ კაპიტალს ვერ იღებს და ზიანი უფრო მეტი ექნება, ამ გადაწყვეტილებას არ მიიღებს. ამასთანავე კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტია, ხელისუფლებას ხელს არაფრით აძლევს ის ფაქტი, რომ მას ციხეში რამე დაემართოს. ამიტომ სანამ ფიქრობენ, რომ მის ჯანმრთელობას აკონტროლებენ და აქ საფრთხე არ ემუქრება, მას არსად არ გაუშვებენ“,** — ამბობს ძაბირაძე.

მისივე თქმით, ის აჟიოტაჟი, რაც ოჯახმა შექმნა, სააკაშვილს დიდ წარმატებას ვერ მოუტანს, პირიქით, შესაძლოა, ამან პროცესზე უფრო უარყოფითი შედეგი გამოიღოს. მისი აზრით, მხოლოდ ერთეული ევროპარლამენტარების განცხადებები ვერაფერ შედეგს მოიტანს, თუ განცხადებები და ქმედებები, ევროკავშირის კონკრეტული ქვეყნის ხელისუფლებებისგან არ მოხდა.

**„რაც შეეხება სააკაშვილის წერილს საფრანგეთის პრეზიდენტის მაკრონისთვის მიწერილს, არ მგონია, რომ ამან შედეგი გამოიღოს. ბიძინა ივანიშვილს ჩვენი პარტნიორები უკვე კარგად იცნობენ. ივანიშვილს რომ საფრანგეთის მოქალაქეობა აქვს, ეს უკვე ყველასთვის კარგად ცნობილია. თუ მაკრონს ამ მიმართულებით რაიმე ნაბიჯის გადადგმა სურდა, აქამდე გადადგამდა. ანუ რა გათვლა აქვთ მაკრონთან დაკავშირებით, ვერ მივხვდი. კი ბატონო, ოჯახის ქმედება შესაძლოა გაამართლო და ვთქვათ, რომ სხვა გზა აღარ აქვთ, თუმცა ხელისუფლების პოზიციიდან რომ შევხედოთ, ხელისუფლება ამას არ დაუშვებს. ხალხში არ გააჩენს იმ განცდას, რომ სააკაშვილი დასავლეთიდან ზეწოლის გამო გაათავისუფლეს. ასეთ დათმობაზე ვერ წავა, იმიტომ რომ ჩვენი ქვეყნის მმართველობის სისტემა ასეთ დათმობებს ვერ იტანს“.**

ანალიტიკოსი **რამაზ საყვარელიძე** კი აცხადებს, რომ მიხეილ სააკაშვილის ოჯახი, გარემოცვა და პარტია ყველა რესურსის გამოყენებით ცდილობენ, როგორმე პროცესი სააკაშვილის გათავისუფლებამდე მიიყვანონ. საქართველოს მოსახლეობის მხარდაჭერის ვერმოპოვების შემდეგ, მთელი ფსონი დასავლეთზე დაიდო. თუმცა ხელისუფლებაც სავარაუდოდ, გულზე ხელდაკრეფილი არ ზის და ის მუშაობს იმისთვის, რომ რეალური სურათი აჩვენოს.

**„ბრძოლის მთავარი იარაღი ახლა დასავლეთი და ჩვენი პარტნიორები არიან. როგორც ვხედავთ, სააკაშვილი მისსავე გარემოცვამ მოატყუა და ის 100 000 კაცი, რომელიც მას გამოიხსნიდა არსად არაა. ამიტომ ახლა სხვა გზა აღარ დარჩათ იმისთვის, რომ ბრძოლა ამ მიმართულებით განაგრძონ. დასავლეთშიც სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფებია. საფრანგეთის პრეზიდენტს კი გაუგზავნა სააკაშვილმა წერილი, მაგრამ პასუხი აქამდეც არ გაუცია. იგივე საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი სარკოზი ზის და ხმაც არასდროს ამოუღია, მისი ტირილი და წუწუნი არავის გაუგია. ამიტომ სააკაშვილის გარშემო ევროპარლამენტარების ნაწილის გააქტიურება ბევრს არაფერს ნიშნავს. კი ბატონო, გარკვეულწილად ხმაურობენ და ცდილობენ მნიშვნელობა მისცენ, მაგრამ მეორე მხრივ ხელისუფლება ოფიცილურ დონეზე პარტნიორებთან ყველანაირ საქმიანობას განაგრძობს. ჩვენს შემთხვევაში ამ მხარდაჭერის კონკრეტული ინტერესების და მიზნების შესახებ არ ვიცით. რა ფაქტორების გავლენით მოქმედებენ ჩვენი დასავლელი პარტნიორების ნაწილი, ესაა საინტერესო. საქართველოსთან და სააკაშვილის თემასთან დაკავშირებით ევროპაშიც სრულიად სხვადასხვა შეხედულება, დამოკიდებულება არსებობს. ამიტომ არ ველი, რომ რამდენიმედღიანი აქტიურობის შედეგად ხელისუფლება სააკაშვილთან დაკავშირებით დამოკიდებულებას და პოზიციას შეიცვლის. პირიქით, მგონია, რომ საკუთარი სიმართლის დამტკიცებას შეეცდება და ის ილუზია, რასაც დასავლეთში სააკაშვილის გარემოცვა ქმნის, კონკრეტული ფაქტებით იქნება გაფანტული“,** — ამბობს საყვარელიძე.

**ლიკა ბერიკაშვილი**

# ტუიტერგეიტი... ეს მხოლოდ დასაწყისია?!



**ილონ მასკმა, ტუიტერის შეძენისთანავე განაცხადა, რომ ამ სოციალურ ქსელს სიტყვის თავისუფალების პლატფორმად აქცევდა. მან მომენტალურად აღადგინა ტრამპის დაბლოკილი გვერდი, რომელიც 2021 წლის დასაწყისში, კაპიტოლიუმის შტურმის შემდეგ შეაჩერა ტუიტერის ადმინისტრაციამ. ამას საიდუმლო ფაილების გასაჯაროება მოჰყვა. მასკის მეგობარმა, მეტ ტაიბიმ, რომელიც ყოველთვიური გამოცემის, „როლინგ სტოუნის“ ჟურნალისტია, ტუიტერით კომპანიის ადრინდელი მენეჯერების ერთმანეთთან მიმოწერის ფაილები და სკრინშოტები გამოაქვეყნა. ასე თქვა, კიდევ 1000-ი ასეთი ფაილი მაქვსო, რასაც დიდი სკანდალი მოჰყვა ამერიკაში. ტუიტერგეიტი შეარქვეს უმალ!**

ახლა, რა არის ასეთი სკანდალური ამ გახმაურებულ მიმოწერაში? გამომჟღავნდა, რომ 2020 წელს, ტუიტერის მენეჯმენტი კრიტიკულ მასალებს ბლოკავდა, რომელიც ბაიდენსა და მის შვილს, ჰანტერს, ეხებოდა. ასევე, დემოკრატიული პარტიის მოთხოვნით, დაიბლოკა გაზეთ New-York-Post-ის სკანდალური სტატია ჰანტერ ბაიდენზე, რომელიც 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს გამოქვეყნდა. სტატიაში, ჰანტერ ბაიდენის ლეპტოპის დაკარგვის ამბავია მოთხრობილი. მას საიდუმლო მასალებით სავსე ლეპტოპის წამოღება დავიწყებია სარემონტო სერვისიდან, რომელიც ბიზნესის მფლობელმა გახსნა და მთელი შენახული ინფორმაცია წაიკითხა. ეს კიდევ არაფერი! აიღო და მასალა FBI-ის და ტრამპის საარჩევნო შტაბს გადაუგზავნა. აქედან ცნობილი გახდა ჰანტერ ბაიდენის მონაწილეობა უკრაინის ნავთობკომპანიების კორუფციულ სქემებში. შეგახსენებთ, რომ ბაიდენის ვიცე-პრეზიდენტობაში, ჰანტერი უკრაინის ნავთობისა და გაზის კომპანიის Burisma Holdings-ის დირექტორთა საბჭოს წევრი იყო. მოკლედ, გამოაშკარავდა, რომ ტუიტერის მენეჯმენტი, დემოკრატიული პარტიის ლიდერშიპთან ერთად, ყველაფერზე მიდიოდა ბაიდენის არჩევნებში გასამარჯვებლად. კონსერვატული პარტიის ლიდერთა აზრით, ფაქტები მეტყველებენ, რომ ტუიტერში სიტყვის თავისუფლება აშკარად იზღუდებოდა. კონსერვატორებმა უკვე მოითხოვეს წარმომადგენელთა პალატაში საგამოძიებო კომისიის შექმნა, და ასეთი კომენტარი გააკეთეს: ჩვენ უკვე წლებია, გავყვირით, რომ ტუიტერი არასწორად მოქმედებს; ახლა კი, ამის დამადასტურებელი მყარი მტკიცებულებები გვაქვს, მაგრამ უბედურება ისაა, რომ, სინამდვილეში, მდგომარეობა უფრო მძიმე აღმოჩნდა, ვიდრე გვეგონა. ლიბერალურმა პრესამ საიდუმლო ფაილების სკანდალზე კომენტარიც კი არ გააკეთა. მხოლოდ ჟურნალისტ ტაიბის გამალებულ კრიტიკას მოჰყვნენ, რომ მან პირადი მიმოწერა გაავრცელა. პასუხად ტაიბიმ განაცხადა, ჯერ სად არიან, მალე სხვა ფაილებსაც გამოვაქვეყნებ, ეს მხოლოდ დასაწყისიაო.

# ქურთების ბედისწერა...

**ქურთები მსოფლიოში, ყველაზე მრავალრიცხოვანია ერია, რომელთაც სახელმწიფო არ აქვთ. მათი რაოდენობა, დაახლოებით, 30 მილიონია, თუმცა, როგორც ვთქვი, საკუთარი სახელმწიფოს შექმნა დღემდე ვერ მოახერხეს. ისინი მთელ მსოფლიოში არიან გაფანტულნი, მაგრამ მათი ძირითადი საცხოვრებელი ქურთისტანია, რომელიც თურქეთის, სირიის ერაყისა და ირანის ტერიტორიების ნაწილს მოიცავს. ქურთები კავკასიაშიც ცხოვრობენ. მაგალითად, საქართველოსა და სომხეთში. ისინი არიან რუსეთში, ყაზახეთსა და ყირგიზეთშიც. ეს გეოგრაფიული გაფანტულობა ქურთების რთულ ისტორიას ასახავს, რაც მიგრაციას, დეპორტაციასა და გადასახლებას გულისხმობს.**



2000 წელზე მეტია, რაც ქურთები ახლო აღმოსავლეთში, თავიანთ საკუთარ მიწა-წყალზე ცხოვრობენ, სადაც გაცილებით უფრო ადრე დამკვიდრდნენ, ვიდრე არაბები და თურქები. ისტორიულ წყაროებში, სიტყვა „ქურთისტანი“ მეთერთმეტე საუკუნეში გხვდება. იმ დროიდან მოყოლებული, მესოპოტამიასა და მცირე აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს ქურთისტანი, ანუ ქურთების ქვეყანა ერქვა, რომლის ფარგლებში ერთმანეთში დაუსრულებლად მოქიშპე ქურთული სამთავროები და საემიროები არსებობდა. იმ დროს, ვერ მოხერხდა ქურთისტანის გაერთიანებული სამეფოს ჩამოყალიბება.

ქურთულ სამთავროებს ოქროს ხანა მეთორმეტე საუკუნეში დაუდგათ, როცა ქურთების ცნობილმა წინამძღოლმა სალადინმა აიუბიდების დინასტია დააარსა, რომელიც ახლო აღმოსავლეთში დიდ ტერიტორიებს მართავდა, ეგვიპტით დაწყებული, სირიითა და იემენით დამთავრებული. ქურთისტანის პირველი დაყოფა XVI საუკუნის დასაწყისში მოხდა. თურქეთმა და ირანმა ქურთების მიწა-წყალი ერთმანეთში გაინაწილეს, თუმცა, ამ ქვეყნებში, ქურთულმა სამთავროებმა ავტონომია შეინარჩუნეს. მეცხრამეტე საუკუნეში, ორივე იმპერიამ ყველა ქურთული სამთავრო გააუქმა, რადგან ჩათვალა, რომ ქურთები ახლო აღმოსავლეთის უმნიშვნელო ტომია.

იმპერიებმა ენა და ტრადიციები კი შეუნარჩუნეს ქურთებს, მაგრამ მათი სამთავროების არსებობაზე ლაპარაკიც არ უნდოდათ. ზუსტად მაშინ ჩაისახა ქურთების პირველი ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა, რამაც დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის დიდი ტალღა გამოიწვია. მოძრაობამ პიკს მეოცე საუკუნის დასაწყისში მიაღწია, რომლის მიზანი ქურთისტანის ერთიანი სახელმწიფოს შექმნა იყო. თავიანთი არსებობის მანძილზე, მეოცე საუკუნეში ქურთები მიზანთან ახლოს რამდენჯერმე იყვნენ, მაგრამ ქურთების სახელმწიფოს შექმნის ყველა მცდელობა დიდი იმპერიებისა და სახელმწიფოების ერთმანეთთან გეოსტრატეგიულ თამაშებს შეეწირა. ასე მოხდა 1916 წელს საიქს-პიკოს შეთანხმების დროსაც. ამ შეთანხმებით, ბრიტანეთმა და საფრანგეთმა ახლო აღმოსავლეთის რუკის კონტურები მოხაზეს.

მაშინდელი მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების ლიდერებს რამდენიმე გეგმა ჰქონდათ იმ ტერიტორიასთან დაკავშირებით, რომელსაც დიდი ქურთისტანი, ანუ ქურთისტანის ერთიანი სახელმწიფო უნდა მოეცვა. 1920 წელს, სევრის ხელშეკრულებით, ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზე უნდა გაჩენილიყო სახელმწიფო „ქურთისტანი“, მაგრამ ინტერესთა კონფლიქტის გამო, ახლო აღმოსავლეთში შექმნილ სახელმწიფოთა შორის, არა თუ ერთიანი ქურთისტანი, არამედ, ქურთების ვერცერთი ეთნიკური ჯგუფი ვერ აღმოჩნდა. თურქეთის მაშინდელი მთავრობა, ქემალ ათათურქის ხელმძღვანელობით, მკაცრ ნაციონალისტურ პოლიტიკას ეწეოდა, რამაც 1925 წელს, შეიხ საიდის მეთაურობით, ქურთების დიდი აჯანყება გამოიწვია.

აჯანყებულთა რაოდენობამ 40 ათას მებრძოლს გადააჭარბა, მაგრამ თურქეთის არმიამ მოახერხა აჯანყების ჩახშობა. დღესაც, ქურთების ნაწილი თურქეთის ხელისუფლებას ტერორითა და შეიარაღებული დაპირისპირებით ებრძვის. ქურთისტანის მუშათა პარტია კი, პარტიზანულ ბრძოლებს აწარმოებს. 1920-იან წლებში, ქურთებს სანუკვარი მიზნის მიღწევის კიდევ ერთი შესაძლებლობა გაუჩნდათ. თურქეთიდან გაქცეული ქურთები მთიან ყარაბაღში დასახლდნენ. საქმეში ლენინი ჩაერია, რომელმაც საბჭოთა ქურთისტანის შექმნა გადაწყვიტა. გაჩნდა ქურთული თვითმმართველობა, გამოიცა ქურთულენოვანი წიგნები და გაზეთები, მაგრამ სტალინმა ეს ავტონომია გააუქმა. 1936-44 წლებში, ქურთები ყაზახეთში გადაასახლეს. 1941-46 წლებში, ირანში, ქურთებმა ავტონომიის შეექმნა შესძლეს.

ანალოგიური მცდელობა ჰქონდათ 60-იანი წლებში ერაყში. თუმცა, ძალიან მალე სპარსელებმა მაჰაბადის ავტონომია გააუქმეს, ხოლო, როცა ერაყის ხელისუფლებაში სადამ ჰუსეინი მოვიდა, მან თავის ტერიტორიაზე არსებული ქურთული ავტონომია გაანადგურა, რისთვისაც ქიმიური იარაღიც კი გამოიყენა. 2012-16 წლებში, როცა ერაყი და სირია დაშლის პირას მივიდნენ, ქურთებმა ამ ქვეყნების ტერიტორიაზე ავტონომიები შექმნეს. სირიელმა ქურთებმა თავიანთ ავტონომიას როჟავა, ანუ დასავლეთი უწოდეს, რომლის შეირაღებული ძალები ამერიკის მოკავშირეები გახდნენ. მათი დახმარებით, ამერიკამ ისლამური სახელმწიფო დაამარცხა.

დღეს კი, ეს პროტო-სახელმწიფო, სირიისა და თურქეთის ხელისუფლების მეცადინეობით, ფაქტობრივად, ლიკვიდაციის პროცესშია, რასაც ამერიკისა და რუსეთის მდუმარე თანხმობა ახლავს. ჩრდილოეთი ერაყი მთლიანად ქურთებით არის დასახლებული. მას სამხრეთ ქურთისტანს უწოდებენ. 2012 წელს, ერაყის ხელისუფლებამ ამ რეგიონს ფართო ავტონომიის სტატუსი მიანიჭა.

**2017 წელს, სამხრეთ ქურთისტანის დამოუკიდებლობის საკითხზე რეფერენდუმი ჩატარდა, რასაც მოსახლეობის ორმა მესამედმა დაუჭირა მხარი, მაგრამ როგორც ადრე, დიდმა სახელმწიფოებმა ახლაც არ მოისურვეს დამოუკიდებელი ქურთული სახელმწიფოს გაჩენა. მიზეზი კი, ისევ და ისევ, გეოპოლიტიკური თამაშებია. ყველაზე ხისტ ანტიქურთულ პოლიტიკას თურქეთი და ირანი ატარებენ. მათთვის წარმოუდგენელია ამ ტერიტორიების დაკარგვა. თურქეთი, როგორც ნატოს წევრი და დასავლეთის მოკავშირე, ევროპასა და ამერიკას ქურთების საკითხში დაყოლიებას აიძულებს.**

**სირიაშიც და ერაყშიც, თითქმის, იგივე მდგომარეობაა. ვითარებას ისიც ამწვავებს, რომ ამ ქვეყნების ქურთული დასახლების ტერიტორიებზე ნავთობის დიდი საბადოებია. თან, ოთხ ქვეყანას, თურქეთს, სირიას, ერაყსა და ირანს ეგრეთწოდებული დომინოს ეფექტის ეშინია: თუ ქურთისტანის რომელიმე რეგიონი დამოუკიდებლობას გამოაცხადებს და მსოფლიო მას აღიარებს, მაშინ, ყველა დანარჩენი იგივეს გაიმეორებს!..**



**ნუგზარ ბ. რუხაძე**
POSTV

# ევროპარლამენტში ახლა შეიტყვეს კორუფციაზე?

ევროკავშირის შინაგან საქმეთა კომისარი ილვა იოჰანსონი ევროპარლამენტში კორუფციულ სკანდალს გამოეხმაურა და განაცხადა, რომ კორუფციის მიმართ ევროპარლამენტს ნულოვანი ტოლერანტობა ექნება.



**„გასულ პარასკევს ანტიკორუფციის საერთაშორისო დღე იყო და ამ დღეს აღმოჩნდა, რომ ბელგიის მართლმსაჯულება 17 მისამართზე ჩხრეკას ატარებდა, საუბარია კორუფციაზე და ფულის გათეთრებაზე. ბოლომდე არ ვიცით რა გამოიკვეთება და რამდენად ფართოა ეს ქსელი, მაგრამ, პირველ რიგში უნდა განვაცხადოთ, რომ კორუფციის მიმართ ევროპარლამენტს ექნება ნულოვანი ტოლერანტობა. კორუფცია არის უმძიმესი დანაშაული, რომელიც ძირს უთხრის დემოკრატიას, საზოგადოებას, ეკონომიკას. მინდა ტაში დავუკრა ბელგიის პროკურატურას. არსებობს უდანაშაულობის პრეზუმფცია და ამიტომ ასე ვიტყოდი: სირცხვილი თქვენ, ვინც იღებთ ქრთამს, გახვეულია კორუფციაში, დაარღვიეთ კანონი, სირცხვილი მათ, ვინც გადაწყვიტეთ, რომ პარლამენტში პოზიცია მიზნების ღირებულებების საწინააღმდეგოდ გამოგეყენებინათ და ნდობა დაგერღვიათ იმ ამომრჩევლების, ვინც თქვენგან ინტერესების დაცვას ელოდება და არა თქვენი პირადი ინტერესების სასარგებლოდ მოქმედებას“,** — განაცხადა ევროკომისარმა.

# ფულით სავსე ჩემოდნები ევროპარლამენტართა სახლებში...

ევროპარლამენტის წევრი იერონ ლენარსი ევროპარლამენტის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის, ევა კაილის გარშემო აგორებულ კორუფციულ სკანდალს გამოეხმაურა.

**„მიჭირს იმ სიბრაზის გადმოცემა, რაც მომხდარი სკანდალის გამო მაქვს. ვეთანხმები ევროკომისარს — სირცხვილი მაქვს. რაც მოვისმინეთ და რაზეც ინფორმაცია ვრცელდება, Netflix-ის ფილმს ჰგავს — ფულით სავსე ჩემოდნები სახლებში, მაგრამ სამწუხაროდ ეს არაა Netflix-ი. ეს სიმახინჯეა, რომელსაც ადგილი ჰქონდა პარლამენტში“,** — აცხადებს იერონ ლენარსი.

# სიცოცხლის სათავეების ძიებაში

## მაშ, რა არის სიცოცხლე?

**ჯერ** კიდევ სულ ცოტა ხნის წინათ, კაცობრიობა საკუთარ თავს მტანჯველი ევოლუციური პროცესიდან გამოსულად მიიჩნევდა. ჩვენთვის ჩვეული იყო აზრი, რომ სამყარო ყოველთვის არსებობდა, ვარსკვლავური ევოლუციის ურთულეს პროცესში კი დროდადრო წარმოიშვება გონების კერები, რომლებიც ინათებიან კაშკაშა შუქით და მერე ქრებიან კოსმოსურ კატასტროფებში. **მატერიის მარადიული ოკეანე ზოგჯერ გამორიყავს დროის ნაპირზე გასაოცარი სილამაზის ცივილიზაციებს, შემდეგ კი ისევ შთანთქავს მათ და უსასრულო მარადისობაში ინახავს საიდუმლოდ...**

„ასეთია მატერიალიზმის კოსმოსური პეიზაჟი, რომელშიც ჩვენი სიცოცხლე – ბუნების შემთხვევითი არსებობაა. ჩვენი ხვედრია დავიბადოთ, რათა შემდეგ გარდავიცვალოთ და სამუდამოდ გავქრეთ კოსმოსურ სიღრმეებში.

სინამდვილეში როგორაა მოწყობილი სამყარო?

**„ბუნებისმეტყველებაში, განსაკუთრებით ბოლო დროს, დაგროვდა მრავალი ფაქტი, რომელიც არ ჯდება ჩვეულ თეორიებში. ვითვალისწინებთ რა მეცნიერების უკანასკნელ მონაცემებს, შევეცდებით უფრო ღრმად ჩავწვდეთ საკითხს სიცოცხლის წარმოშობის შესახებ, გავაფართოვოთ დიდი ხნის წინ ჩამოყალიბებული სამეცნიერო სკოლების საზღვრები“,** – ამბობს პროფესორი ალექსანდრე თავართქილაძე.

## სამყაროს ცხოვრებიდან

**მეცნიერები** ვარაუდობენ, რომ **სამყაროს წარმოშობისა** და განვითარების საიდუმლოს გაგების შემდეგ, იმის დადგენასაც შეძლებენ, თუ რანი ვართ ჩვენ თავად.

ერთ-ერთი თეორიით, რომელსაც პულსირებადი სამყაროს მოდელი ჰქვია, სამყაროს არსი შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორც ჰაერში აგდებული ქვა, რომლის სიჩქარე მაქსიმალური წერტილის მიღწევისას ნულის ტოლი ხდება, შემდეგ კი მიწაზე ვარდება. ასევე **კოსმიური სხეულები გრავიტაციის ძალების ზემოქმედებით, ბოლოს და ბოლოს ერთმანეთზე „დავარდებიან“ და წარმოქმნიან ერთ წარმოუდგენლად შემჭიდროვებულ სხეულს, რადგანაც ურთიერთმიზიდულობის უდიდესი ძალებით სამყაროს მთელი ნივთიერება ძლიერ შეიკუმშება. მერე კი მოხდება დიდი აფეთქება, სამყარო ისევ დაიწყებს გაფართოებას (როგორც ეს ამჟამად ხდება!) და კვლავ წარმოიშვება გალაქტიკები და ვარსკვლავური სისტემები.** თანამედროვეობის უდიდესმა ასტროფიზიკოსმა **სტივენ ჰოკინგმა** სამყაროს ამ მოდელისთვის განტოლებათა მწყობრი სისტემა შექმნა, რომლებითაც დიდი აფეთქების გზით მისი გაჩენა აღწერა.

ამრიგად, **მარადი პულსაციის მდგომარეობაში მყოფი სამყარო, რომელიც, როგორც ვხედავთ, თავისთავად, პირველბიძგის გარეშე არსებობს, აფეთქებებს შორის შუალედებში გალაქტიკებს, ვარსკვლავურ სისტემებსა და ამასთან, დედამიწისნაირ პლანეტებსაც წარმოშობს.**

რაც შეეხება სტივენ ჰოკინგის აზრს, რომ „სამყარო არსებობს დასაწყისისა და დასასრულის გარეშე, დროსა და სივრცეში, შემქმნელის რაიმე მოქმედების გარეშე“, პროფესორ ა. თავართქილაძის აზრით, „აშკარად არაკორექტულია“. ამ თეზისის თვალნათლივობისთვის, მეცნიერს შემდეგი მაგალითი მოჰყავს: ვთქვათ, დამკვირვებელმა თოვლის გუნდა კედელს ესროლა, რომლის გაფრენის ტრაექტორიის გამოთვლა ადვილია დროის ნებისმიერი მომენტისთვის – როგორც მომავალში (ანუ კედლის მიღმა), ასევე წარსულში (ანუ სროლამდე), ამის საშუალებას სათანადო მათემატიკური განტოლებები გვაძლევენ, მაგრამ ასეთ **ექსტრაპოლაციაში** ფიზიკური არსი არ იქნება, ვინაიდან ჯერ კიდევ დროის გარკვეული მონაკვეთით ადრე, თოვლის გუნდა საერთოდ არ არსებობდა. ამდენად, **„ხომ არ არის დიდი აფეთქების გრანდიოზული თეორია... მხოლოდ მათემატიკურად შემუშავებული ფანტაზია თემაზე – „როგორ განვითარდებოდა სამყარო თუკი ის ყოველთვის იარსებებდა“?** – კითხვას სვამს ქართველი მკვლევარი.

ბოლო წლების ზოგიერთმა აღმოჩენამ გვაიძულა სერიოზულად დავეჭვებულიყავით როგორც შავი ხვრელების, ისე დიდი აფეთქების არსებობაში“.

საღვთო წერილით, სამყარო (მათ შორის ცხადია, დედამიწაც), რამდენიმე ათასი წლის წინათ, სულ ექვს დღეში შეიქმნა. მაგრამ, გეოლოგები ლაპარაკობენ სამყაროს არსებობის მილიარდობით წელზე, რასაც ზოგიერთი მეცნიერ-ღვთისმეტყველი შექმნის დღეებად გრძელ – მილიონობით წლების ხანგრძლივობის – პერიოდებად განმარტავენ.

ამდენად, ისმება კითხვა: **მაინც რა ასაკისაა სამყარო?**

შორეული ვარსკვლავების შუქის ჩვენამდე მოსვლას ათასობით სინათლისეული წელი სჭირდება და თუ სამყარო „ახალი“ შექმნილია, მაშინ როგორ მოასწრო მან დედამიწამდე მოღწევა? ანდა როგორ დაგროვდა წიაღში ურანის დაშლის ამდენი პროდუქტი, თუკი ეს პროცესი მილიონობით წელი არ გრძელდებოდა?

**„ამ კითხვებზე პასუხის გაცემა საოცრად მარტივია: შორეული ვარსკვლავები შექმნილნი არიან თავიანთ შუქთან ერთად, რომელმაც მაშინვე გაანათა სამყარო, ხოლო ურანი დედამიწის შემადგენლობაში შევიდა ტყვიასთან ერთად ნარევში“,** – წერს პროფესორი ა. თავართქილაძე.




ამასთან, ავტორს მოჰყავს, როგორც თავად აღნიშნავს, მაგალითები სამეცნიერო დისკუსიებიდან, „რომლებიც ეჭვქვეშ აყენებენ ჰიპოთეზას დედამიწის მილიარდწლიანი არსებობის შესახებ“. მათ შორის პირველია რადიოაქტიური ელემენტის – ურანის ალფა-დაშლა, რომლის შედეგად წარმოიშვება ჰელიუმი. ეს ელემენტი დედამიწის „ატმოსფეროში იმდენად მცირე რაოდენობითაა, რომ... ეს ფაქტი გვაიძულებს დავფიქრდეთ რადიოიზოტოპური მეთოდებით დედამიწის მილიარდობით წლიანი ასაკის განსაზღვრის სისწორეზე, რადგან ალფა-დაშლის ერთ-ერთი ძირითადი პროდუქტი – ჰელიუმი – ატმოსფეროში თითქმის არ არის“.

## მაინც რატომაა მსოფლიო ოკეანე მარილიანი?

**მარილები** ოკეანეში ჩააქვს მდინარეებს, რომლებიც რეცხავს ხმელეთის ქანებს, გამოაქვთ მიწისქვეშა და გრუნტის ჰიდროთერმული, ასევე ყინულის წყლები. არსებობს კიდევ ოკეანეში მარილების მოხვედრის სხვა წყაროებიც – ფსკერის ბაზალტების რეცხვა, ატმოსფერული მტვერი, ვულკანური ფერფლი, ატმოსფერული ნალექები და სხვ.

მეცნიერთა მიერ დადგენილი კონტინენტების ეროზიის სიჩქარე ისეთია, რომ რამდენიმე მილიარდ წელიწადში მთელი რელიეფი მაგიდის ზედაპირივით სწორი უნდა ყოფილიყო. დღევანდელ მთათა სისტემების ადგილებში კი უძველესი (კემბრიულამდელი) ქანები უნდა ყოფილიყო გაშიშვლებული, მაგრამ ეს ასე არ არის. ამდენად, **„შეუძლებელია ეროზიის სიჩქარისა და თანამედროვე რელიეფის ერთმანეთთან შეჯერება“,** – ასკვნის პროფესორი ა. თავართქილაძე.

მეცნიერება ამტკიცებს, რომ მზის წიაღში მიმდინარეობს ბირთვული რეაქციები. თუ ეს ასეა, მაშინ **„ის უნდა ასხივებდეს ნეიტრონოების ინტენსიურ ნაკადს, თუმცა შეინიშნება მათი აშკარა ნაკლოვანება“.** იქნებ მზე იკუმშება და იმიტომ ანათებს? ზოგიერთი დაკვირვებით, მისი დიამეტრი წელიწადში ერთი კილომეტრით მცირდება, თუმცა ისიცაა, რომ შეკუმშვას ემატება ნაკლებად ამპლიტუდური რხევები. თუ მზე ვარვარდება შეკუმშვისგან, მაშინ მაშინ მისი ნათების ვადა არ აღემატება 10-20 მილიონ წელს.

* * *

**კომეტები – ღრმა კოსმოსიდან მზის სისტემაში მოსული იდუმალი სტუმრები არიან, მათი რაოდენობა დაახლოებით 600-ია, რომელთა ჩვენი მნათობის გარშემოყოველი ციკლის ხანგრძლივობა ათობით და ათასობით წელს შეადგენს.**

კომეტების არსებობა, ცხადია, კოსმიური მასშტაბით, ხანმოკლეა და, როგორც დაკვირვებები მოწმობენ, მათი რიცხოვნობის შევსების წყარო მზის სისტემის მახლობლად უნდა იყოს განთავსებული. ერთ-ერთი თეორიის თანახმად, ისინი შესაძლოა სამყაროს „ახალგაზრდობის“ დამადასტურებელ ფაქტად მივიჩნიოთ.

მოამზადა

**ოთარ ტურაბელიძე**

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №184, 186




# მტერი მოყვარედ ნუ გვეჩვენება!

**კარგა ხანია, საქართველო კლანურ-მაფიოზურ დიქტატორულ ქვეყნად გადაიქცა. ეს ვითარება დღესაც გრძელდება. ქვეყანა მთლიანად პოლიტიზებულია. უამრავი პოლიტიკური პარტიის უკან ამბიცია, თავის თავზე მაღალი წარმოდგენა და რაც მთავარია, პრეტენზია, ერთმანეთის ზიზღისა და სიძულვილის პირობას და საფუძველს ქმნის.**

დიდაქტიკაში ნუ ჩამითვლიან და მინდა ყველას, იქნება ეს ხელისუფლება თუ ოპოზიცია, პოლიტიკოსი თუ არაპოლიტიკოსი, დიდი თუ პატარა ვთხოვო: საქართველოს დედამიწაზე განსაკუთრებული მისია აკისრია. არ შეიძლება მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნისადმი ასეთი უდიერი, ვანდალური, გონიერი ცივილიზაციისთვის მიუღებელი მეთოდებით მოპყრობა, ურთიერთკვლა, ყოველივე ქართულის, ეროვნული ფასეულობების მოსპობა,რასაც მხოლოდ ქვეყნის მტერი თუ იზამს.

სანამ დროა, შეჩერდეს ეს ვანდალიზმი, ეშმაკს ნუ მივყიდით სულს. პირველ ყოვლისა, ასეთები თვითონ იღუპავენ თავს და ქვეყანასაც ღუპავენ. ღვთის წყალობით, საქართველო გამთლიანდება, გაბრწყინდება, მშვიდობისა და ბედნიერების სავანე გახდება!..

ვერ მოვითმინე და განსაკუთრებით ამ მძიმე დღეებში მომივიდა აზრად, ჩემი საყვარელი თანამემამულეებისთვის, ხალხისთვის გამეზიარებინა პირადი მოსაზრება, მიმემართა პატარა ლექსით და იმედია, მკითხველი არ დამძრახავს:

**ძმანო ქართველნო,**
**დანო ქართველნო,**
**დროა, გულწრფელი სათქმელი**
**გვეთქვას,**
**დე, გაგვერჩიოს შავი და თეთრი,**
**გულმა დაიწყოს სხვაგვარად ფეთქვა.**
**ფარისეველი თუ ტარტაროზი,**
**შადიმანი თუ იუდა მასთან,**
**შემოგვსევია კალიასავით,**
**მოგვნატრებია დაჯდომა კაცთან.**
**პოეტი არ ვარ, გული შემტკივა,**
**დროა ერთობის, გულწრფელი აზრის,**
**მტერი მოყვარედ ნუ გვეჩვენება,**
**თავსა და მხრებზე ურჩხულად გვაზის...**
**დროა, ვამხილოთ შავი და თეთრი,**
**ფარისეველი ცრუ და მზაკვარი,**
**დროა, რომ ყველამ ხმა ავიმაღლოთ,**
**გამოვაჩინოთ ბოროტი, ავი!**
**კეთილმან სძლიოს მუდამ ბოროტსა,**
**ამას ღაღადებს რუსთველის სიბრძნე...**
**ქართველო ძმაო, ქართველო დაო,**
**მრავალჟამიერ, ძმობაში მიძმე!..**



**გურამ საღარაძე,**
აქტიურ პენსიონერთა საერთაშორისო ალიანს „არიერგარდის“ თავმჯდომარე.

# მოკრძალებული შობა უკრაინელთა დასახმარებლად...

**„კარგია შობის აღნიშვნა, არდადეგების აღნიშვნა. ოღონდ ცოტა შევამციროთ საშობაო ხარჯების დონე. მოდით, შობა უფრო მოკრძალებული გავხადოთ, უფრო მოკრძალებული საჩუქრებით და რასაც დავზოგავთ, გაუგზავნეთ უკრაინელ ხალხს, ვისაც ეს სჭირდება. მოდით, გავაკეთოთ მათთვის კონკრეტული ჟესტი“,** – განაცხადა რომის პაპმა ფრანცისკემ..



# 40 წელი გასულა...




**მწერალთა კავშირში დემიკო ლოლაძის წიგნის პრეზენტაცია გაიმართა, რომელიც ლეგენდარული ფეხბურთელის, ვიტალი დარასელიას ხსოვნას და გარდაცვალების 40 წლისთავს მიეძღვნა.**

ლეგენდარულმა ფეხბურთელმა კარიერა ოჩამჩირის „ამირანში“ დაიწყო, ძირითადი ნაწილი კი თბილისის „დინამოში“ გაატარა და ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი გამორჩეული მოთამაშე გახდა.

თასების მფლობელთა თასის 1981 წლის გათამაშების ფინალში, მატჩის დასრულებამდე სამი წუთით ადრე, „კარლ ცაისის“ კარში გატანილი გადამწყვეტი გოლით, დარასელიამ გუნდს გამარჯვება და დღემდე ერთადერთი ევროპული ტიტული მოუტანა.

ლეგენდარული დინამოელი 19 და 21-წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონი იყო. ქართულ ფეხბურთში ყველაზე მნიშვნელოვანი გოლის ავტორი 40 წლის წინათ, 1982 წლის 13 დეკემბერს ავტოკატასტროფაში ტრაგიკულად დაიღუპა.

13 რიცხვი დარასელიას ცხოვრებაში უმნიშვნელოვანეს მოვლენებს უკავშირდებოდა. 13 ნომრით თამაშობდა საბჭოთა კავშირის ნაკრებში, 13 ნოემბერს ჰქონდა ქორწილი, 13 მაისს გაიტანა ოქროს გოლი თასების მფლობელთა თასის ფინალში, მაგრამ 13 დეკემბერს გარდაიცვალა ავტოავარიაში და მის ცხედარს 13 დღის განმავლობაში ეძებდნენ.

**„40 წელი გავიდა ვიტალის გარდაცვალებიდან. ვისურვებდი, რომ კიდევ დიდხანს შევიკრიბოთ, რათა გავიხსენოთ საუკუნის გოლის ავტორი“,** – ამბობს წიგნის ავტორი დემიკო ლოლაძე.

ნუკრი კაკილაშვილი, თბილისის „დინამოს“ ვეტერანი: **„ის დღე საშინლად მახსოვს. ბაკურიანიდან თბილისში ვბრუნდებოდი, ეს უბედურება ავტოინსპექციის პოსტზე მითხრეს და შოკში ჩავვარდი.**

**1978 წელს თბილისის „დინამოში“ რომ ამიყვანეს, ვიტალი უკვე გუნდის ერთ-ერთი გამორჩეული მოთამაშე იყო. ახალგაზრდებს განსაკუთრებულ ყურადღებას გვაქცევდა. ძალიან მეგობრული ურთიერთობა გვქონდა.**

**13 მაისის შემდეგ თაობათა ცვლა მიდიოდა და გუნდის ლიდერი უნდა გამხდარიყო, მაგრამ ეს საშინელება მოხდა, რაც „დინამოსთვის“ დიდი დანაკლისი აღმოჩნდა“.**

მერაბ ჟორდანია, თბილისის „დინამოს“ ყოფილი ფეხბურთელი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი: **„ქართული ფეხბურთის ისტორიას მხოლოდ რამდენიმე დიდი გვარი ჰყავს. ვიტალი დარასელია კი ერთ-ერთი იმათგანია, რომლის სახელიც მუდამ გვემახსოვრება, სანამ საქართველოში ფეხბურთს თამაშობენ“.**

დავძენთ, რომ ტირაჟის ნაწილი ითარგმნა და აფხაზეთში გაიგზავნება იმის ნიშნად, თუ როგორ გვიყვარს და ვაფასებთ ოჩამჩირეში გაზრდილ ბიჭს, რომელმაც საქართველო ასახელა. პრეზენტაციას ვეტერანი ფეხბურთელები, ჟურნალისტები, ვიტალი დარასელიას ოჯახის წევრები ესწრებოდნენ.

◎ ფიცარნაგზე

# ხუთეულში შევიდა




**კოლუმბიის დედაქალაქ ბოგოტაში მიმდინარე ძალოსანთა მსოფლიო ჩემპიონატზე 102 კგ. წონით კატეგორიაში ირაკლი ჩხეიძემ ორჭიდის ჯამში 387 კგ. დაძლია და მე-5 ადგილი დაიკავა.**

ჩხეიძემ ატაცში ასპარეზობისას სამივე ცდა გამოიყენა, თავი 165, 170 და 174 კილოგრამს გაართვა და ამ მაჩვენებლით მან პირველი მოძრაობა მე-6 ადგილზე დაასრულა.

აკვრაში ქართველმა სპორტსმენმა ორი ცდის გამოყენება მოახერხა, 207 და 213 კგ. აჩვენა და აქაც მე-6 პოზიცია ერგო.

ორჭიდის ჯამში ირაკლი ჩხეიძემ 387 კგ. დაძლია და მე-5 ადგილი დაიკავა. ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ ჩხეიძემ აკვრაში საქართველოს რეკორდი 1 კილოგრამით გააუმჯობესა, რომელიც მანამდე ანტონ პლესნოის ეკუთვნოდა.

რაც შეეხება გამარჯვებულს, მთავარი ოქროს მედალი ყატარელმა ფარეს იბრაჰიმ ელბახმა მოიპოვა, რომელმაც ორჭიდის ჯამში 391 კგ. დააფიქსირა. ვერცხლის მედალოსანი ირანელი რეზა დეჰდარი გახდა 390 კგ.-თი. ბრინჯაოს მედალი კი სომეხმა სამველ გასპარიანმა მიიღო, რომელმაც 389 კგ. მოაგროვა.

ხვალ 04:00 საათზე 109 კგ. წონით კატეგორიაში გიორგი ჩხეიძე და ზაზა ლომთაძე გამოვლენ. ტურნირის ბოლოს, 17 დეკემბერს კი, 01:30 საათზე საქართველოს საუკეთესო ძალოსანი ლაშა ტალახაძე იასპარეზებს.

◎ აუზში

# საშველი არ ჩანს




**„დინამო თბილისმა“ ჩემპიონთა ლიგაში მორიგი, მესამე ტურის მატჩი ჩაატარა და სტუმრად ბერძნულ „ვულიაგმენთან“ 7:12 წააგო.**

მასპინძლებმა გადამწყვეტი უპირატესობა პირველივე პერიოდში მოიპოვეს, რომელიც 6:2 მოიგეს და შემდეგ ხელიდან აღარ გაუშვიათ. „დინამომ“ მხოლოდ მეორე ტაიმში შეძლო მეტოქესთან თანაბრად თამაში და არც მესამე პერიოდი წააგო (1:1), ხოლო მეოთხე სულაც მოიგო (3:2). ეს საბოლოო წარმატებისთვის საკმარისი არ გამოდგა.

შედეგად, ზედიზედ მესამე მარცხი და „დინამო თბილისი“ მოგების გარეშე A ჯგუფში ბოლო, მერვე ადგილზეა, მომდევნო შეხვედრას კი 20 დეკემბერს ხორვატეთში „იადრანთან“ გამართავს.

◎ ნბა-ში

# ისევ მუქარა

**NBA-ში „გოლდენ სტეიტ უორიორსისა“ და ,,მილუოკი ბაქსის“ გუშინდელი თამაშის დროს დრეიმონდ გრინმა შეხვედრის შეჩერება მოითხოვა, რათა გულშემატკივარი, რომელიც მას მუქარის შემცველ სიტყვებს ეუბნებოდა, გაეძევებინათ.**

მესამე მეოთხედის ბოლოს, როდესაც „ბაქსის“ ვარსკვლავი იანის ანტეტოკუნმპო საჯარიმო სროლას ასრულებდა, დრეიმონდ გრინი ერთ-ერთ გულშემატკივარს აქტიურად ესაუბრებოდა. იგი მალევე მოუტრიალდა მსაჯებს და იმ ადამიანის დარბაზიდან გაძევება მოითხოვა, მოგვიანებით კი თავისი გადაწყვეტილება ახსნა.

როგორც დრეიმონდმა მატჩის შემდგომ ისაუბრა, ის გულშემატკივარს ძალიან მიუახლოვდა, ის კი მოკვლით ემუქრებოდა და მუქარის შემცველ სიტყვებს ეუბნებოდა, რის გამოც მან შეხვედრის მსაჯებს მისი გაძევებისკენ მოუწოდა.

აღსანიშნავია, რომ ცოტა ხნის წინათ დრეიმონდ გრინი თავად დააჯარიმეს გულშემატკივართან კამათისთვის.

საბოლოოდ, მატჩი „მილუოკი ბაქსის“ გამარჯვებით, 128:111 დასრულდა, დრეიმონდ გრინმა კი მოედანზე გატარებულ 23 წუთში თავი მხოლოდ 2 ქულით, 6 მოხსნით და 7 შედეგიანი გადაცემით გამოიჩინა.




◎ ყატარი – 2022

# გადახდა უნდა ვალსაო

**2018 წლის რუსეთის მუნდიალზე ხორვატეთმა ჯგუფურ რაუნდში მძიმე მარცხი აგემა არგენტინას – 3:0, ხოლო შემდეგ ფინალისტიც გახდა.**

მართალია, მაშინდელი ანსამბლიდან ზლატკო დელიჩმა ძირითადი ბირთვი შეინარჩუნა, მაგრამ ორი საკვანძო ფიგურა მაინც დაემშვიდობა ბალკანურ ნაკრებს რაკიტიჩისა და მანჯუკიჩის სახით.

ძნელი სათქმელია, ისინი კვლავაც ხორვატეთის სუპერგუნდის წევრები რომ იყვნენ, როგორ განვითარდებოდა მოვლენები არაბული მუნდიალის ნახევარფინალში, მაგრამ რაღაც თუ ვიღაც რომ აკლდა, ფაქტია.

დიახ, მართალია, მოდრიჩი, კოვაჩიჩი და ბროზოვიჩი ყატარშიც პარტნიორთა ლიდერები არიან, მაგრამ თვით მათი დიდოსტატობაც კი უძლური აღმოჩნდა მესის დამოძღვრილი კამპანიის წინააღმდეგ ბრძოლაში. არადა, საწყის ნახევარ საათში თეთრწითლები თითქოს ბურთსაც აკონტროლებდნენ, ტერიტორიულ უპირატესობასაც ფლობდნენ და მწვავედაც იჩხვლიტებოდნენ.

### არგენტინა – ხორვატეთი – 3:0

**პირველი ტაიმი – 2:0**

**გოლები: მესი (პენალტით), ალვარესი – 2.**

კვანძი მას შემდეგ გაიხსნა, რაც შესვენების წინ ხუთწუთიან მონაკვეთში „სიტის“ უნიჭიერესმა ჯერჯერობით რეზერვისტმა ალვარესმა ზედიზედ ორჯერ გაარღვია მეტოქის დაცვის ცენტრი და ჯერ სადავო პენალტი დასტყუა იტალიელ მსაჯს ორსატოს, ხოლო შემდეგ თვითონვე დასაჯა მოწინააღმდეგენი ახლო მანძილიდან.

მძიმე ფსიქოლოგიური შოკიდან გამოსვლა გამოფიტულმა ხორვატმა ვეტერანებმა, რომლებმაც წინა ეტაპებზე მარათონული პლეი-ოფები გადაიტანეს, ვეღარ შეძლეს, მათი შეუპოვრობის გათვალისწინებით კი საფიქრებელი იყო, რომ ვითარების გამოსასწორებლად მეორე სუნთქვა გაეხსნებოდათ და რამეს იღონებდნენ.

პირიქით – საფინალო სასტვენამდე 20 წუთით ადრე მესის მორიგმა გაბრწყინებამ, მთელი ტურნირის განმავლობაში მშვენივრად მოთამაშე გვარდიოლის გაბითურებამ და ალვარესის შესრულებულმა დუბლმა პასუხი ყველა კითხვას გასცა – არგენტინა ფინალშია! რაც შეეხება მესის, რვაწლიანი პაუზის შემდეგ იგი ისევ შეუტევს ტიტულს და ერთპიროვნული რეკორდსმენი გახდება უმთავრეს ფორუმებზე მატჩების რაოდენობით (26).






# ახალი მეცნიერული მიმართულება

## მცირე რეცენზია

**გიორგი ჭინჭარაული — „ეკონომიკის მეცნიერებათა შესავალი“ (თბილისი, 2021 148 გვ)**

**რეცენზენტები: ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები შ. ვეშაპიძე და მ. გველესიანი, რედაქტორი: ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი კ. სოხაძე.**

ნაშრომი წარმოადგენს ახალი მეცნიერული მიმართულების ექსპერიმენტულ სახელმძღვანელოს, რომელშიც ეკონომიკური მოვლენები შესწავლილია წარმოების ნატურალურ-ნივთობრივი და პიროვნული ფაქტორების განვითარების კანონზომიერებათა თვალსაზრისით, იმ ზოგადობის ზომით, რომელიც საჭიროა ეკონომიკურ ურთიერთობათა შესწავლისა და წარმოების ფაქტორების რაციონალური გამოყენებისთვის.

ავტორის სამართლიანი შენიშვნით, საზოგადოებრივი წარმოების ფაქტორების განვითარების კანონზომიერებებს დღემდე დამოუკიდებლად არც ერთი მეცნიერება არ სწავლობდა. წიგნში დასაბუთებულად ირკვევა, რომ ახალი მეცნიერების შექმნის საკითხი დღის წესრიგში პირველად ამ წიგნის ავტორმა დააყენა და ამ საკითხზე მისი სტატია თსუ-ში პოლიტიკური ეკონომიკის კათედრაზე განხილვის შემდეგ აკადემიკოს ვალერიან მელქაძის წარდგენით პირველად დაიბეჭდა საქ. მეცნ. აკად. ჟურნალ „მოამბეში“, 1980 წ. №9, შემდეგ კი წიგნებსა და საერთაშორისო ჟურნალებში. ნაშრომის წინასიტყვაობაში წარმოჩენილია საკითხის აქტუალობა. პირველი ორი თავი ეძღვნება ახალი მეცნიერული მიმართულების კვლევის საგანსა და მეთოდოლოგიას. მოცემულია ეკონომიკური თეორიების კლასიფიკაცია, ასევე წარმოების ფაქტორების არსებობისა და განვითარების კანონზომიერებათა შესწავლის დასაბუთება. დანარჩენ თავებში განხილულია ეკონომიკური მოვლენების, ნატურალურ-ნივთობრივი მხარის, განვითარების კანონზომიერებები.

აქსიომატურია, რომ წარმოების ფაქტორების განვითარების კანონზომიერებათა ცოდნის გარეშე, ვერც ერთი ეკონომიკის მეცნიერული დისციპლინა, თავის საგნის სფეროში ვერ განახორციელებს სათანადო მეცნიერულ კვლევას, მათი ცოდნა კი ხელს შეუწყობს სხვა ეკონომიკური მეცნიერული დისციპლინების კვლევის ეფექტიანობის ამაღლებას, რაც თავის მხრივ, იმოქმედებს ეკონომიკური თეორიისა და პრაქტიკის სრულყოფაზე. ამ მხრივ მოცემულ ნაშრომს, როგორც პირველ გზამკვლევს, უდიდესი დამსახურება ექნება.

* * *

**წინამდებარე ნაშრომის მიმართ თითქმის იგივე შენიშვნები გვაქვს, რასაც ავტორი მიუთითებს P. S.-ში.**

კარგი იქნებოდა ნაშრომში ეკონომიკურ მოვლენათა ნივთიერი შინაარსის განვითარების კანონზომიერებები შესწავლილიყო უფრო კონკრეტული სახით, მაგალითად ფულის კვლავ წარმოების და ა. შ.

ნაშრომში ზოგჯერ შეუთავსებელ ცნებათა გაიგივება ხდება. მაგ. წარმოების ნივთიერ ფაქტორებად მოიხსენიება წარმოების საშუალებები და სამუშაო ძალა. ეს მაშინ, როცა სამუშაო ძალა წარმოების პიროვნული ფაქტორია.

დასანანია, რომ აქა-იქ გვხვდება სტილისტური და კორექტურული უზუსტობებიც.

მიუხედავად ამისა, ნაშრომი შესრულებულია მაღალ მეცნიერულ დონეზე და მისი სასწავლო პროცესში გამოყენება ხელს შეუწყობს სტუდენტთა ცოდნის ამაღლებას და მეცნიერული კვლევის გაძლიერებას, საბოლოო ჯამში კი, ეკონომიკის მეცნიერული პოტენციალის ზრდასთან ერთად ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობას.

**ზურაბ ბერიძე,**
**ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,**

**გივი ჯავახიშვილი,**
**ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**

# წმინდა დიდმოწამე ბარბარე

**17 დეკემბერს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს წმინდა დიდმოწამე ბარბარეს ხსენებას. ...წმინდა ბარბარე, ადრე დაქვრივებული, მდიდარი წარმართის ერთადერთი შვილი იყო. მამას შვილისთვის მხოლოდ მიწიერი სიკეთეები სურდა.**



**ცხადია, მარტოობაში ყმაწვილი ბარბარე ნუგეშს თავისი კოშკის სარკმელთან ჯდომასა და შემოგარენის სილამაზით ტკბობაში პოულობდა...**

**ბარბარე ქრისტიან ქალწულებს გაეცნო და მათგან შეიტყო შემოქმედი ღმერთისა და ქრისტე მაცხოვრის შესახებ.**

**ნიშანდობლივია, რომ ბარბარე თავისი მგრძნობიარე სულით მიხვდა, რომ ის იპოვა, რასაც ამდენ ხანს ეძებდა. მან ქრისტე ირწმუნა და თავისი მამისაგან ფარულად მოინათლა... ქალწულის მშვენებით მოხიბლული მარტიანე, თავიდან ალერსიანი სიტყვებით ცდილობდა დაერწმუნებინა იგი, რომ თავისი რწმენა უარეყო და კერპთათვის მსხვერპლი შეეწირა; ბარბარემ კატეგორიულად უარყო ეს წინადადება — უსჯულოთა ხელით ეწამა წმინდა ბარბარე.**

**ჩვენი ზეციური მფარველის წმინდა ნაწილები ინახება უკრაინაში, კიევში. აღსანიშნავია, წმინდა დიდმოწამე ბარბარეს ბავშვთა მფარველ წმინდანს ეძახიან...**

გიული ლიპარტია

# საგადასახადო შეღავათები კიდევ სამი წლით გადავადდება

**საშემოსავლო გადასახადში საგადასახადო შეღავათების გადავადებას ითვალისწინებს კანონპროექტი „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“. პროექტი დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა გუშინ განიხილა. როგორც ფინანსთა მინისტრის მოადგილე მამუკა ბარათაშვილმა კანონპროექტის წარდგენისას განმარტა, 3 წლის ვადით, 2026 წლის 1 იანვრამდე გაგრძელდება საგადასახადო შეღავათები სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ფიზიკური პირებისათვის და მოგების და ქონების გადასახადში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის.**

ასევე, 2026 წლის 1 იანვრამდე გაგრძელდება ფიზიკური პირის, არარეზიდენტების გათავისუფლება საშემოსავლო და მოგების გადასახადისგან სასესხო ფასიანი ქაღალდიდან პროცენტის სახით მიღებულ შემოსავალზე, თამბაქოს ნედლეულის იმპორტის გადასახადზე; იმავე ვადით გადაიწევს ბაზრობაზე არასტაციონარული სავაჭრო ადგილის გამოყენებით ვაჭრობის განმახორციელებელი ფიზიკური პირებისათვის საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენების ვალდებულება და სხვა საგადასახადო შეღავათები. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცვლილებები შედის „საქართველოს საბაჟო კოდექსში“ და „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონში. კანონპროექტთა პაკეტის განხილვისას გამოითქვა მოსაზრებები და შენიშვნები, რომლებიც კომიტეტის მიერ მომზადებულ სავალდებულო დასკვნაში აისახება და გადაეგზავნება ცვლილებათა ინიციატორს, საქართველოს მთავრობას. ამ დათქმით კომიტეტმა მხარი დაუჭირა წარმოდგენილ საკანონმდებლო პაკეტს.

# კიდევ ერთი მშვენიერი „ოლე“

**გამოვიდა ლიტერატურულ ჟურნალ „ოლეს“ 2022 წლის VI ნომერი.**

ჟურნალი იხსნება **ფარნა რაინას** კატრენების ახალი ციკლით.

„მხატვრული ლიტერატურის“ რუბრიკით ქვეყნდება: **ვანო ჩხიკვაძის** რომანი „გვირაბი“ (დასასრული); **ლანა მანველის** რომანი „სად არის ბედნიერება“ (გაგრძელება), **ხათუნა გოზალიშვილის** მოთხრობა “ჯიბო“; **რაჟდენ მექვევრიშვილის, აკაკი ბიძინაშვილის** და **ვაჟა გიგაურის** ლექსები. რუბრიკით „ბავშვებისთვის საკითხავი“ გაეცნობით **ნუნუ ძამუკაშვილის** საბავშვო ლექსებს.




აუცილებლად დაგაინტერესებთ **როინ ჭიკაძის** „კრიტიკის“ რუბრიკით გამოქვეყნებული წერილი „მარტოსულნი“.

„წერილების“ რუბრიკაში“ იბეჭდება **ციური ბერიძის** „მკვლევარი გიორგი ნადირაძე და ნიკო სულხანიშვილი — გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორი და ლოტბარი“.

ჩვენს მკითხველს შევახსენებთ, რომ ჟურნალი „ოლე“ გამოიცემა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის (მერი ბატონი **ლევან ანდრიაშვილი**), თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (თავმჯდომარე ბატონი **თენგიზ მთვარელიშვილი)** მხარდაჭერით.

გულწრფელი მადლობა უშურველი თანადგომისთვის, მრავალ ახალ წელს მეგობრებო!

გიორგი რთველაძე

# თელავში ხანძარმა ორი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა



**თელავში ხანძრის შედეგად ორი ადამიანი დაიღუპა, ორი კი დამწვრობის ცენტრში გადაიყვანეს. არსებული ინფორმაციით, ისინი კოტეჯის მშენებლობაზე იყვნენ დასაქმებულნი და ღამეს მშენებლობის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე ოთახში ათევდნენ. „ორივე დაღუპული ხაშურიდან იყო. აგვისტოდან მშენებლობაზე მუშაობდნენ. ღამით ელექტროღუმელს რთავდნენ და ისე თბებოდნენ“, — აცხადებს ობიექტზე დასაქმებული ერთ-ერთი მუშა. მომხდარზე მიმდინარეობს გამოძიება.**

# უცხოური ინვესტიციების რაოდენობა რეკორდისკენ მიიწევს!

(მესამე გვერდიდან)

**„ესპანეთიდან ინვესტიცია ძირითადად განხორციელდა უძრავი ქონებით ოპერაციების სექტორში, რაც შეეხება გაერთიანებულ სამეფოს, ეს არის ძირითადად საფინანსო სექტორი. ირლანდიას რაც შეეხება, ეს არის აზარტული თამაშების სფეროს ინვესტიციები. უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის ოპერირებასთან დაკავშირებით ინვესტიციების ზრდა განპირობებული იყო რამდენიმე მსხვილი კომპანიის მიერ სესხის აღებით“,** — განაცხადა გოგიტა თოდრაძემ.

მიღწეულ შედეგებს დადებითად აფასებენ სპეციალისტები. თსუ-ს ეკონომიკისა და პროგნოზირების ცენტრის ხელმძღვანელის **ოთარ ანგურიძის** განცხადებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მკვეთრი მატება გამოწვეულია იმით, რომ ქვეყანაში არის სტაბილურობა, ხელისუფლებისგან მომდინარე გზავნილები კი ინვესტორების შემოდინებას უწყობს ხელს.

**„პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა არის გამოხატულება იმისა, რომ ერთი მხრივ ქვეყანაში გვაქვს სტაბილურობა, მეორე მხრივ კი, ხელისუფლების მხრიდან ბოლო პერიოდში კარგი გზავნილები წამოვიდა, რაც ხელს უწყობს ინვესტორების შემოდინებას“,** — განაცხადა ანგურიძემ.

დადებითია სამომავლო პროგნოზიც.

„თიბისის“ მთავარი ეკონომისტის **ოთარ ნადარაიას** შეფასებით, 2023 წელი ინვესტიციების განხორციელების კუთხით აქტიური იქნება. რუსეთ-უკრაინის ომის გამო, ინვესტიციების განხორციელების მიმართულებით გარკვეული სიფრთხილე არსებობს, თუმცა, მიუხედავად ამისა, საინვესტიციო აქტივობა უკვე მაინც შეინიშნება.

**„2023 წელი ინვესტიციების კუთხით აქტიური იქნება, ეკონომიკური ზრდისთვის ნაკლებად აქტიური. ისე ხდება, რომ ჯერ ეკონომიკის ზრდა გვაქვს, რადგან ჯერ ბიზნესს გაყიდვები უნდა გაეზარდოს და მერე ფიქრობს ბიზნესი ახალი საწარმო ხაზების დამატებას. მაგალითად, გარკვეულ ბიზნესს თუ შეუძლია 100 ერთეული პროდუქცია გამოუშვას და უშვებს 70-ს, როდესაც ის თავის პოტენციურ დონეს უახლოვდება, მერე უკვე ახალ ინვესტიციებზე ფიქრობს“,** — განაცახა ნადარაიამ.

2022 წლის III კვარტალში ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობების სექტორში განხორციელდა და 265.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 35.6 პროცენტია. მეორე ადგილს იკავებს საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობების სექტორი — 159.0 მლნ. აშშ დოლარით (21.3 პროცენტი), ხოლო მესამეზე იმყოფება ხელოვნების, გართობის და დასვენების სექტორი 143.2 მლნ აშშ დოლარით (19.2 პროცენტი).

ბექა დანელია

## რარიტეტული გამოცემები დედაუნივერსიტეტს

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას ლტოლვილთა დანიის საბჭოს ხელმძღვანელმა ვინსენტ დონტონმა მნიშვნელოვანი კოლექცია – ორი ათასზე მეტი წიგნი, გადასცა საჩუქრად. ტაციტუსის, სენეკას, ჰეროდოტეს, ჰომეროსის, ვირგილიუსის მე-19 საუკუნის რარიტეტული გამოცემები ფრანგულ, ბერძნულ და ლათინურ ენებზე თსუ ბიბლიოთეკის მრავალმილიონიან ფონდს შეემატა.

**„მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ჩვენთვის სრულიად უცნობმა ადამიანებმა იცოდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, აქ მიმდინარე სასწავლო პროცესის შესახებ. კერძოდ, ის, რომ აქ ისწავლებოდა და ისწავლება ანტიკური ლიტერატურა, ბერძნული და ლათინური ენები და სწორედ ამის გამო გადაწყვიტეს, რომ ჩვენთვის გამოეგზავნათ ეს საჩუქარი“,** – განაცხადა თსუ ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა ზურაბ გაიპარაშვილმა.

კოლექციის ისტორია 1920 წლიდან იწყება, როდესაც ერთ-ერთმა არისტოკრატმა ოჯახმა – ბინოშების ოჯახმა ბრეტონში სახლი შეიძინა. ოჯახს მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სახლი მემკვიდრეობით დარჩა კოლეტ ბინოშს. კოლეტ ბინოშის მემკვიდრეებმა გადაწყვიტეს, რომ ლათინურ-ფრანგული კოლექცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის გადაეცათ, რადგან მათ გაარკვიეს, რომ თსუ-ში კლასიკური ფილოლოგიის კათედრა უნივერსიტეტის დაფუძნებისთანავე (1918 წ.) გაიხსნა. მიმართულების აკადემიური შემადგენლობა დღესაც წარმართავს კლასიკური ფილოლოგიის სპეციალობით სტუდენტთა მომზადებას სწავლების სამივე საფეხურზე. ოჯახს დახმარება გაუწია ლტოლვილთა დანიის საბჭოს დირექტორმა ვინსენტ დონტონმა, რომელმაც თავად ჩამოიტანა საქართველოში აღნიშნული კოლექცია.



## პირველად... ზელანდიაში!

**ახალი ზელანდია მსოფლიოში პირველი ქვეყანა გახდა, რომელმაც მიიღო კანონი, რომელიც კრძალავს მოწევას მომავალი თაობისთვის.**

ქვეყანა თამბაქოს ნაწარმს 2009 წლის 1 იანვარს ან უფრო გვიან დაბადებულებს არ მიჰყიდის. შესაბამისი კანონი ძალაში 2023 წელს შევა. ამასთან, აღნიშნულია, რომ ვაიპის გაყიდვა არ შეიზღუდება.

**„გვინდა დავრწმუნდეთ, რომ ახალგაზრდები არ დაიწყებენ მოწევას. ამიტომ ჩვენ დანაშაულად მივიჩნევთ თამბაქოს ნაწარმის გაყიდვას ან მიწოდებას მომავალი თაობის ახალგაზრდებისთვის. ადამიანები, რომლებიც ახლა 14 წლის არიან, ვერასოდეს შეძლებენ თამბაქოს ლეგალურად ყიდვას კანონის ძალაში შესვლის შემდეგ“,** – განაცხადა ჯანდაცვის მინისტრის მოადგილემ აიშა ვერალმა. **P. S. სხვათა შორის, საქართველოში სიგარეტის და თამბაქოს ნაწარმის მიყიდვა 18 წლამდე მოზარდებისთვის კარგა ხანია აკრძალულია.**



## თეთრი სახლი ცისარტყელას ფერებში განათდა

**აშშ-ის პრეზიდენტმა, ჯო ბაიდენმა ხელი მოაწერა კანონს, რომელიც ერთნაირსქესიანთა ქორწინებას იცავს. ხელის მოწერის ცერემონია თეთრ სახლში გაიმართა და მას ქვეყნის ვიცე-პრეზიდენტი, კამალა ჰარისი, სენატსა და წარმომადგენელთა პალატაში დემოკრატების ლიდერები და ასევე ლგბტ-საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.**

ამ კანონის მიღებით გაუქმდება 1996 წლის კანონი, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად უარყოფს ფედერალურ შეღავათებს ერთნაირსქესიანთა წყვილებისთვის. კანონი აშშ-ის ფედერალურ მთავრობასა და შტატებს საშუალებას მისცემს აღიაროს ერთნაირსქესიანთა და რასებსშორისი ქორწინება, რომლებიც იმ შტატებში გაფორმდა, სადაც ეს ლეგალურია.

## ილონ მასკი მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანი აღარაა...

**ამერიკული Forbes-ის მიერ განახლებული ინფორმაციით, ამერიკელი გამომგონებელი ილონ მასკი მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანის სტატუსს აღარ ფლობს, მან უმდიდრესი ადამიანების რეიტინგში 1 ადგილი დაკარგა.**

რეიტინგში 1 ადგილი Louis Vuitton Moet Hennessy-ის პრეზიდენტმა ბერნარ არნომ დაიკავა. Forbes-ის ინფორმაციით, ილონ მასკის ქონება 176,8 მილიარდი დოლარია, ხოლო ბერნარ არნოსი 188,6 მილიარდი. მასკმა მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანის სტატუსი 2021 წლის 26 ოქტომბერს მოიპოვა, მაშინ მისი კაპიტალი 271,3 მილიარდ დოლარად იყო შეფასებული.

## ახალგაზრდა ქალი საკრუიზო ლაინერიდან გადავარდა

**ავსტრალიის ოკეანეში 23 წლის ქალის ცხედარი იპოვეს. ახალგაზრდა ქალი საკრუიზო ლაინერიდან გადავარდნის შედეგად დაიღუპა.**

Pacific Explorer-ის ეკიპაჟის წევრებმა განაცხადეს, რომ მგზავრი დაიკარგა დაახლოებით შუაღამისას, საზღვაო უსაფრთხოების სამსახურმა გვიან ღამით სამაშველო თვითმფრინავი გაუშვა, რომელსაც გამთენიისას ორი ვერტმფრენი შეუერთდა. მაშველების თქმით, ქალის ცხედარი დაახლოებით 07:00 საათისთვის იპოვეს.


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ა

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932


**ავტორთა საყურადღებოდ!**

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 19 დეკემბერს**


## გამოიწერეთ და იკითხეთ ჟურნალისტური ეთიკის ყველა ნორმის დამცველი გამორჩეული გაზეთი!

ქრისტეშობისთვე გადამწყვეტია ბეჭდური მედიის, ანუ ტრადიციული და ეროვნული ჟურნალ-გაზეთების ხელმოწერა-გავრცელება-გადარჩენისთვის!

ბუნებრივია, ხელმომწერთა სიმრავლე მთავარი პირობაა 105 წლის საზოგადოებრივ-პოლიტიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო და საინფორმაციო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ აღორძინებისთვისაც...

ამიტომაც წიგნიერ საქართველოს – ვისაც ჯერ კიდევ უყვარს კითხვა, უმორჩილესად ვთხოვთ, გამოიწერონ ჩვენი სანდო, მართალი, ჟურნალისტური ეთიკის ყველა ნორმის დამცველი გამორჩეული გაზეთი!

ხელმოწერა შეგიძლიათ, გააფორმოთ შემდეგ გამავრცელებლებთან:

შპს „ელვაჩი“, 595 38 26 26, 2 38 26-73, 2 38 26-74;

შპს „პლანეტა ფორტე“, 2 99 18 59.

ხელმოწერასა და გაზეთის ბინაზე მიტანაში უშურველად დაგეხმარებათ თვით რედაქციასთან ურთიერთობაც – ჭავჭავაძის პროსპექტი №17ა, „საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის“ ოფისი, დარეკეთ: 5 99 36 00 35, 577 77 27 17.


**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6766; ევრო - 2.8185;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2879;
100 რუბლი - 4.2393; თურქული ლირა - 0.1436;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5774;
1000 სომხური დრამი - 6.7796

**ამინდი 15 დეკემბრისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | -1, | დღე +12 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -4, | დღე +12 |
| დასავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | +5, | დღე +19 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | 0, | დღე +17 |
| თბილისი: | ღამე | +3, | დღე +12 |


**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge